

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესის და
მართვის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის
“კულტურა მედიაში (მედიის კვლევები)” დოქტორანტის

ლუბა ელიაშვილის

სადისერტაციო ნაშრომის

კულტურა, რელიგია და ტრადიცია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში

ავტორეფერატი

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
მედიის და მასკომუნიკაციის მიმართულების
პროფესორი გიორგი ჩართოლანი

თანახელმძღვანელი – ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი, პროფესორი ლელა ოჩიაური

თბილისი, 2015 წ.

საკვლევი პრობლემატიკა

ახალი გლობალური მედიის ინტენსიური პროგრესის პირობებში ძალზე პრობლემურია მისი როგორც ეთიკური, ასევე იურიდიული რეგულაციების დახვეწილი მექანიზმის შემუშავება და მონიტორინგის განხორციელება. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: პირველი ის, რომ მულტიკულტურულ, პოსტმოდერნულ სამყაროში გლობალური ტექნოლოგიური განვითარება ბევრად უსწრებს იმ საკანონმდებლო და ეთიკური ბაზის დახვეწას და მოთხოვნილებას, რომელიც უკვე დღეს იქცა თანამედროვე სამყაროს მთავარ გამოწვევად. მედიის რეგულაციის ხარვეზია ისიც, რომ გლობალური მედიით მოცულ სამყაროში დღემდე არ არსებობს საყოველთაო შეთანხმება ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, რა შეიძლება ჩაითვალოს გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვად და რა პიროვნების რელიგიური თუ სხვა გრძნობების შეურაცხყოფად ან თუნდაც, სიძულვილის ენად.

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია ჰიპოთეზა, რომ სამყაროში, სადაც კომუნიკაციების გავრცელებისათვის საზღვრები არ არსებობს და არც შეიძლება დაწესდეს, ხოლო მედია წარმოადგენს იმ ძირითად ინსტრუმენტს, რომელითაც ხორციელდება დღეს არსებული მრავალფეროვანი კულტურული ტრადიციისა და განსხვავებულ მსოფლმხედველობათა დაახლოების პროცესი, მედიამეცნიერების მთავარი საზრუნავია ამ ინსტრუმენტის მაქსიმალურად სრულყოფა. სწორედ ეს არის მრავალფეროვანი, მულტიკულტურული საზოგადოების მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობა. ამგვარი საკითხების კვლევისას გასათვალისწინებელია ის პოზიცია, რომ მულტიკულტურული, პოსტმოდერნული სამყაროს მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძველია როგორც კულტურათა დიალოგი და დაახლოება, ასევე მულტიკულტურული მრავალფეროვნების და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

სადისერტაციო ნაშრომის საკვლევი თემას წარმოადგენს კულტურის, რელიგიის და ტრადიციის ადგილი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ნაშრომის საკვლევი პრობლემატიკის მოსანიშნად შემოსაზღვრულია კვლევის შესაბამისი არეალი და ეპოქა, როგორც უნიკალური, იმ ნიშნით, რომ დედამიწის ტერიტორიის 1/6 ნაწილში (საბჭოთა კავშირში) ერთი საუკუნის განმავლობაში ორჯერ მოხდა კულტურული და სოციალური დომინანტური პარადიგმის ცვლილება. სწორედ

ამიტომაც საინტერესო ამ პერიოდის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში კონტენტის კვლევა.

წინამდებარე კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ აუდიო-ვიზუალური მედია და მასკულტურა, რომელიც XX-XXI საუკუნეების პოსტმოდერნული სამყაროს ელექტრონულ მედიაკულტურად ჩამოყალიბდა, განხილულია, როგორც ახალი ეპოქის მსოფლმხედველობის და ტრადიციის, ანუ ყოფითი უნარჩვევების, ერთიანობაში კი კულტურული გარემოს პატერნების ჩამოყალიბების და გავრცელების ახალი ინსტრუმენტი, რომელიც ნაშრომში გაანალიზებულია ამავე მიზნების განმასხვრციელებელ ისეთ ისტორიულად დამკვიდრებულ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, როგორც ტრადიციულად არის რელიგია და მისი ინსტიტუტები.

კვლევის შესავალში მიმოხილულია მასობრივი კომუნიკაციის განვითარების თეორიები, პოსტმოდერნისტული მედიაკულტურისა და, საერთოდ, მედიის განვითარების საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო, კულტუროლოგიური ლიტერატურა, აუდიო-ვიზუალური მედია და მედიაკულტურა, როგორც ახალი სამყაროს კულტურული ფენომენი.

ნაშრომი ასევე მოიცავს რელიგიის და ტრადიციის თემატიკის გაშუქებას პოსტსაბჭოთა ქართულ მედიაში იმ პროექტების მაგალითზე, რომელთა ვებ-გვერდის სატიტულო ფურცელზე რელიგია გამოტანილია, როგორც ამ მედიაპროდუქტის სპეციფიკური თემატიკა. ასეთებია: „საუბრები რელიგიაზე“ (ტელეკომპანია „ტაბულა“), „სხვა რაკურსი“ (ტელეკომპანია „იმედი“) და „საეკლესიო კალენდარი“ ტელეკომპანია („ერთსულოვნება“). სწორედ მაგალითების მოშველიებით გაანალიზებულია, თუ როგორ შუქდება ტრადიცია და რელიგია ხსენებულ პროექტებში.

ამას გარდა, სპეციალურად სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის კვლევისთვის, ჩატარდა მცირე სოციალურ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი – ჩართული დაკვირვება, რათა გამოგვეკვლია, როგორი გავლენა აქვს აუდიტორიაზე საბჭოურ კინოპროდუქციას, რომელიც კინემატოგრაფში ეკლესიის მსახურის კომედიური პერსონაჟის მიზანდასახულად შემოტანითა და საბჭოთა კინემატოგრაფში დამკვიდრებით გამოირჩევა. ექსპერიმენტის წარმოებისას ყურადღება მიექცა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კინემატოგრაფისათვის დამახასიათებელი ეკლესიის მსახურის ტიპური, კომიკური პერსონაჟი ძალზე წააგავდა საეკლესიო რეფორმაციაგავლილი

ქვეყნების კომედიურ ფოლკლორში შემონახულ ეკლესიის მსახურის ასევე კომიკურ ტიპაჟს. იგივე ტიპაჟი საბჭოთა ანტირელიგიურ პლაკატსა და სხვა სახის სატირულ ნამუშევრებშიც ხშირად გვხვდება.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა:

რამდენადაც არსებობს იმის საფუძვლიანი თეორია, რომ მასობრივი მედიის შექმნის ისტორია გუტენბერგის ბეჭდური რევოლუციითა და ევროპაში ქაღალდის წარმოებით იწყება, ნაშრომში მიმოხილულია თანამედროვე ელექტრონული და აუდიო-ვიზუალური მედიის წარმოშობის წინაპირობა – პირველი გაზეთების გამოსვლიდან რადიოს და ტელევიზიის გამოგონებამდე; გაანალიზებულია იმ ეპოქის განსაკუთრებული მნიშვნელობაც, როდესაც გაჩნდა ფოტოგრაფია და აუდიოჩანაწერი, როგორც პირველი ტექნოლოგიურად ტირაჟირებადი ვიზუალური და აუდიო პროდუქცია; ამ ეპოქის განვითარების კულმინაციად კი მიჩნეულია მიწისზედა გადამცემების დაფარვის ზონაში სამაუწყებლო მედიის შექმნა, რომელმაც სატელიტური მაუწყებლობის შექმნამდე და ანალოგური სიგნალის ციფრული სიგნალით ჩანაცვლებამდე მიაღწია.

ამავდროულად, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი თანამედროვე გლობალური ციფრული საკომუნიკაციო ქსელი – ინტერნეტი, – სოციალური სივრცის სუბიექტებისთვის ყოველდღიური მოხმარების მოთხოვნილებად იქცა და მასკულტურაშიც დამკვიდრდა. ხოლო ამ საკომუნიკაციო სივრცეებს, კონტენტის თვალსაზრისით, მულტიმედიაკულტურა, მათ შორის, სოციალური ქსელების მასობრივი მოხმარება და თვისობრივად სრულიად უახლესი ვირტუალური სამყაროს შექმნა მოჰყვა.

კვლევის პროცესში მედიის ცნების დეფინიციისათვის ნაშრომში გამოყენებულია სოციალური ფსიქოლოგის, ერის ფრომის შეხედულებები რეკლამის შესახებ, რობერტ მერტონის ფუნქციონალიზმის სოციოლოგიური თეორია. ასევე ფილოსოფოსის, ჟან ბოდრიარის შეხედულებები და იდეები სიმულაციასა და სიმულაკრების შესახებ. დ. უზნაძის განწყობის თეორიის ცნებები და ტერმინოლოგია. ასევე მედიის ცნების ცნობილი კანადელი მედიაანალიტიკოსის, ჰერბერტ მარშალ მაკლუენის მიერ შემოტანილი განმარტება, მისი ტერმინები – „გლობალური სოფელი“ და „ადამიანის გავრცობა“ – და მისი ფუძემდებლური წიგნი – “მედიის გაგება: ადამიანის

გავრცობა” (Understanding Media: The Extensions of Man). ნაშრომში გამოყენებულია ავსტრიელი სოციოლოგის, ერის ფრომის წიგნები: – „გაქცევა თავისუფლებიდან“, „ქონა და ყოფნა“, ფრედი პერლმანის წიგნი – „ყოველდღიური ცხოვრების რეპროდუქცია“ (The Reproduction of Daily Life by Fredy perlman 1967), რუსი მკვლევარის ნ. ბ. კირილოვას სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი – „მედიაკულტურა მოდერნიდან პოსტმოდერნამდე“.

ნაშრომი მოიცავს საბჭოთა კინორეჟისორების: სერგეი ეიზენშტეინის, თენგიზ აბულაძის, გიორგი დანელიას, ელდარ რიაზანოვის, რეზო ჩხეიძის და სხვათა მემუარულ ლიტერატურას, მათ ინტერვიუებს, მოგონებებს საბჭოური კინოწარმოების შესახებ. მათივე და სხვა რეჟისორების კინოპროდუქცია გამოყენებულია ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევების მასალად.

კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომის საკვლევი პრობლემატიკის დასამუშავებლად აქცენტირება გაკეთდა საკითხზე, რომელიც ერთგვარ პარალელს ავლენს XX საუკუნის ტოტალიტარულ სახელმწიფოებში (გერმანიასა და საბჭოთა კავშირში) ხელისუფლების მსგავს მცდელობებზე სრული კონტროლის ქვეშ მოექცია და საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა როგორც რელიგიის ინსტიტუტები, ასევე მასობრივი კომუნიკაციის ახალი საშუალებები – აუდიო-ვიზუალური მედია.

კვლევის განსახორციელებლად ნაშრომში მოძიებული და დახარისხებულია სამეცნიერო, ფილოსოფიურ-სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ლიტერატურა, რომელიც ეხება როგორც კულტურის, ტრადიციისა და რელიგიის კვლევას მედიასთან, ასევე კონკრეტულად რელიგიის, კულტურისა და ტრადიციის საკითხებს. შერჩეული და მიმოხილულია ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებული სამეცნიერო, ისტორიული, კულტუროლოგიური და იურიდიული ლიტერატურა და იმ კულტურის და მედიის მოღვაწეთა მემუარულ-მხატვრული ლიტერატურა, რომელთაც საკუთარი პროდუქტის შექმნა უწევდათ ცენზურის წნეხის ქვეშ საბჭოთა პერიოდის განმავლობაში. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია ინტერნეტ-საიტებზე არსებული უხვი აუდიო-ვიზუალური მასალა, რომელიც ეხება როგორც XX საუკუნის პირველი ნახევრის საბჭოურ კინემატოგრაფს, ასევე შემდგომი პერიოდის სამაუწყებლო მედიას. ესენია უმთავრესად, სამეცნიერო,

კულტუროლოგიური და მედია-კვლევებთან დაკავშირებული ნაშრომები, თანამედროვე ბლოგერების სტატიები მედიის შესახებ, ათწლიანი პერიოდის (2005-2015 წწ.) თანამედროვე ქართული მედია-პროდუქცია, რომელიც რელიგიის, ტრადიციისა და კულტურის გაშუქებას ეხება.

ნაშრომის კვლევის ერთ-ერთ ძირითად მეთოდად შეირჩა ექსპერიმენტი და ჩართული დაკვირვება იმ საბჭოური ფილმების გამოყენებით, რომლებშიც გვხვდება რელიგიის თემატიკა სხვადასხვა ეპოქაში რელიგიის მსახურთა მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებებით. ექსპერიმენტული კვლევის მთავარი ობიექტს 17-18 წლის თანამედროვე ახალგაზრდები წამოადგენდნენ.

კვლევის ჰიპოთეზა:

ვინაიდან ექსპერიმენტის პერიოდში დაკვირვება ხდებოდა საკონტროლო ჯგუფზეც, საინტერესო იყო ამ საბჭოური ფილმების ნახვის შემდგომ იქნებოდა თუ არა გამოხატულად განსხვავებული ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების დამოკიდებულება საკონტროლო ჯგუფთან შედარებით. მოახდენდა თუ არა ამ ფილმების ნახვა გამოკვეთილ გავლენას მათ აზროვნებაზე. ასევე, რამდენად მოახდენდა გავლენას მომავალი ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაზე რაიმე სახის იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი წნეხი.

საინტერესო იყო ისიც, თუ რა გავლენას მოახდენდა საბჭოთა პერიოდის კინემატოგრაფის კომედიური შედეგები პოსტმოდერნული სამყაროს ახალი თაობის ადამიანებზე. მოსალოდნელი იყო, რომ მოძველებულ საბჭოურ პროპაგანდას, გამოხატულს საეკლესიო პირების გაშარებაში, ვეღარ უნდა ემუშავა ისე, როგორც მუშაობდა ტოტალიტარული სახელმწიფოს მედიის პირობებში.

ვფიქრობ, ის ფაქტი, რომ მაყურებელს ამასხოვრდება მედიით ტირაჟირებული ფრაზები და კლიშეები (იყენებს მათ მეტყველებაში), ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს იმას, რომ ეს მოვლენა მის მოტივაციაზე იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას და რომელიმე მიმართულებით შეცვლის მის მსოფლმხედველობას.

ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან.

I თავში მიმოხილულია, თუ რა ნიშნით არის განსაკუთრებული და ტრადიციული კულტურისგან განსხვავებული „მედიაკულტურა“. მარშალ მაკლუენს, მედიის უნივერსალური თეორიის ფუძემდებელს, ეკუთვნის მოსაზრება, რომ მედია საინტერესოა თავისთავად, როგორც მედიუმი, ვინაიდან მედია არის ის „მედიუმი, რომელიც ასევე თავადვე არის მესიჯი“¹. უფრო ფართო ისტორიულ-კულტუროლოგიურ კონტექსტში კი, მაკლუენის მიხედვით, ეს ნიშნავს, რომ კომუნიკაციური ტექნოლოგია განსაზღვრავს ისტორიული კულტურის ტიპს, მსოფლმხედველობასა და სამყაროს სურათს, ანუ მის შემეცნებას. ამავდროულად, ტექნოლოგიის ზემოქმედება ხორციელდება არა აზრისა და გაგების დონეზე, არამედ იგი ცვლის გრძნობით აპერცეფციებს, ანუ აღქმის მოდულებს, თანმიმდევრულად და წინააღმდეგობის გარეშე. ამიტომ ამ ავტორის მიხედვით, ამა თუ იმ ეპოქაში, კაცობრიობის ისტორიის პერიოდიზაციის საფუძველს წარმოადგენს ის, თუ როგორია ადამიანთა შორის კომუნიკაციის ტიპი და მისი განხორციელებისას რომელია დომინანტური კომუნიკაციის არხი (სიტყვიერი, წერილობითი, ელექტრონული).

ვინაიდან მაკლუენის პერიოდიზაციის ჩარჩო არ აღწერს ერთგვაროვანი კომუნიკაციური ტიპის დომინანტურობის ხანის კულტურულ მრავალფეროვნებას, რელიგიურ მსოფლმხედველობათა განსხვავებულობას და განსხვავებულად განვითარების მიზეზებს, ამ კრიტერიუმების შემოსატანად ხსენებული ეპოქები, შედარებით დაკონკრეტებული ნიშნით, ქვეპერიოდებად დაიყო. ეს ქვეპერიოდები სადისერტაციო ნაშრომში უკავშირდება ადამიანის განსხვავებულ წარმოდგენებს სამყაროს შექმნის, მისი აგებულების პრინციპების, ზომებისა და ფუნქციონირების კანონების შესახებ ანუ რელიგიურ მსოფლმხედველობებს, რომლებიც კონკრეტულ დროის მონაკვეთებზე მკაცრად არ არის მიბმული, თუმცა შედარებით მცირე დროის პერიოდებში, დომინანტურია განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალებში და კულტურულ მრავალფეროვნებას მნიშვნელოვნად განაპირობებს.

კომუნიკაციის ტექნოლოგიური განვითარება თავისთავად წარმოადგენს “ადამიანის გარეგანი გავრცობის” რთულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ პროცესს, რითაც იცვლება ადამიანიც და მისი სამყაროც. ჯერ კიდევ გლობალური ქსელის, ინტერნეტის შექმნამდე 10 წლის წინ ამ ზუსტი ტერმინით აღწერა

¹The Medium is the Message: An Inventory of Effects (1967)

მარშალ მაკლუენმა XX საუკუნის სამყაროს ტექნოლოგიური განვითარება და, შეიძლება ითქვას, იწინასწარმეტყველა XXI საუკუნის კომუნიკაციური სამყარო.

ავსტრიელმა სოციოლოგმა და ფსიქოლოგმა, ერის ფრომმა წიგნში – „გაქცევა თავისუფლებიდან“ ყურადღება სწორედ მედიის, როგორც ინფორმაციის მატარებლისა და ამავდროულად, როგორც ჰიპნოტური შთაგონების შესაძლებლობის მქონე ინსტრუმენტზე, ანუ კომუნიკაციის სუბესტიურ ხასიათსა და მის კონტენტზე გაამახვილა. მან სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური პოზიციიდან განმარტა რეკლამის არსი და აღწერა მისი გავლენა ადამიანზე: „რეკლამა, როგორც ნებისმიერი ჰიპნოტური შთაგონება, აპელირებს არა გონებით, არამედ გრძნობებით და ასე ცდილობს ობიექტზე ემოციურ ზემოქმედებას იმისათვის, რომ ამ გზით დაიმორჩილოს მისი ინტელექტი. ყველა ეს მეთოდი, თავისი არსით, ირაციონალურია და მისი კონტენტი არ ეფუძნება კრიტიკულ აზროვნებას. ისინი აძინებენ და აქრობენ მყიდველის კრიტიკულ დამოკიდებულებას პროდუქტის მიმართ და მიაწერენ პროდუქტს ისეთ ფანტასტიკურ თვისებებს, რასაც არაფერი აქვს საერთო მის ხარისხთან“.² ერის ფრომის ამ გამონათქვამს შეგვიძლია დავამატოთ, რომ ამა თუ იმ პროდუქტის რეკლამირებისთვის, უმეტეს შემთხვევაში, აქცენტირებულია არა პროდუქტის თვისობრივი მახასიათებლები, არამედ ის, რომ პროდუქტს საოცნებო გარეგნობისა და სტატუსის მქონე ადამიანები მოიხმარენ ოცნებასავით მშვენიერ გარემოში. მედიის ამგვარ შესაძლებლობებს სხვა მედია-მკვლევარებმაც მიაქციეს ყურადღება. სწორედ მედიის ამ მხარემ გამოიწვია საზოგადოებრივი აზრის მკვლევარების განსაკუთრებული ინტერესი. ამიტომაც მკვლევარების ერთი ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კონტენტს და სწორედ იმას, რომ ელექტრონული მედია არის ე.წ. „ოცნებების ფაბრიკა“, რომელიც ადამიანს სთავაზობს გამოგონილ სამყაროს, თანაც ისე, რომ ადამიანი მას რეალობად აღიქვამს. ცნობილია, რომ რეკლამა ნებადართული და რეგულირებული ზემოქმედებაა, მაგრამ უკვე დიდი ხანია სოციოლოგები, პოლიტოლოგები, მედიის საზოგადოებაზე ზემოქმედების სხვა მკვლევარები და სამართალმცოდნეები, რომლებიც მედიის საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენის სამართლებრივ-ეთიკურ მხარეებს აანალიზებენ, აღნიშნავენ

² http://www.e-reading.club/chapter.php/60813/8/Fromm_-_Begstvo_ot_svobody.html

მედიისთვის ისეთი რეგულაციებისა და გარემოს შექმნის აუცილებლობას, რომელიც მედიას სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური, ასევე სხვა ინტერესთა ჯგუფების აკრძალული, აგრესიული, ფარული გავლენისაგან დაიცავს და უზრუნველყოფს მისი აუდიტორიის დაცულობას მედიის მხრიდან მსგავსი მანიპულირებისაგან.

ინფორმაციას “აფეთქებული ბომბის ეფექტი” აქვს. მან შეიძლება მყისიერად მოიცვას საზოგადოების ძალზე დიდი ნაწილი და უბიძგოს მას აქტივობისაკენ ისევე, როგორც “Charlie Hebdo”-ს რედაქციაში მომხდარი ტრაგედიის შესახებ ინფორმაციამ გამოიწვია მილიონობით ადამიანის პროტესტი. ამ პროტესტს ისინიც კი შეუერთდნენ, ვინც ემტერებოდა აღნიშნული გამოცემის პოზიციას. საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია მოვიყვანოთ ჟურნალისტ გიორგი სანაიას ძალადობრივი დაღუპვა, რომლის თანმდევი პროტესტის ტალღა ისეთი ძლიერი იყო, რომ ქუჩაში გამოსული ადამიანების რისხვა, ლამის სახელმწიფო გადატრიალებაში გადაიზარდა.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საქართველოში 2003 წლის ე.წ. “ვარდების რევოლუციის” ძალზე სერიოზული მოთამაშე იყო დამოუკიდებელი ტელეკომპანია “რუსთავი 2”. შესაბამისად, საქართველოს მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ მედიის ჩარევა პოლიტიკაში ძალზე გამოცდილი და ქმედითი გზაა საკუთარი პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი ინტერესის გასატარებლად. მაგალითად, ტელეკომპანია “იმედის” ჟურნალისტებიც ასევე აღმოჩნდნენ ფრონტის ხაზზე 2007 წელს.

დისერტაციის **II თავი** განსხვავებული მსოფლმხედველობების კულტურათა გააზრებას ეხება პირველყოფილი კომუნიკაციის საშუალებებისა და განსხვავებული კულტურების წარმოშობიდან დღემდე.

ნაშრომის **თავი III** კი წარმოადგენს მოკლე ისტორიულ ექსკურსს – ბეჭდური პრესის დაბადებიდან ინფორმაციული ადამიანის ეპოქის დადგომამდე და აღწერს მას, როგორც გლობალური მედიაკულტურის გავლენით შექმნილ სამყაროს სურათს. აქვე აღწერილია ის ღირებულებითი კონფლიქტები, რომელიც ამ ახალ სამყაროს კულტურული განვითარების ისტორიული წარსულიდან დღემდე მოჰყვება.

ნაშრომის ამ თავში ხაზი ესმება იმას, რომ განსხვავებით ინდუსტრიულ ეტაპზე დაბადებული ტექნიკური ტერმინისგან – პრესა, ტერმინი – მედია, ზუსტად ასახავს იმ ფენომენს, რასაც ემსახურება ამ სახელწოდების ქვეშ

გაერთიანებული ინსტრუმენტები, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში რეალური სამყაროს სახე-ხატების, სიმბოლოების, მითებისა და მეტაფორების შექმნისა და ჩამოყალიბების ახალი საშუალებაა. მანამდე ეს ფუნქცია რელიგიას, მის ინსტიტუტებსა და ლიდერებს ეკუთვნოდათ. ამასვე ემსახურებოდა შესაბამისი ინსტიტუტები, სხვადასხვა კონფესიის სამლოცველოები, რომლებიც კონკრეტული რელიგიის გავრცელების მთელ გეოგრაფიულ არეალში იყო მოფენილი.

ქართულ მედიაში ღირებულებათა სიღრმისეული კონფლიქტის საინტერესო მაგალითად ნაშრომში მოხმობილია ფილოსოფოს გიორგი მაისურაძის სტატია “პოლარიზაცია”, რომლის პათოსი აგრესიული შემართებით გამოირჩევა. სტატია XX საუკუნის დასაწყისის საბჭოთა კომკავშირლებისათვის დამახასიათებელი ზიზღიანი დამოკიდებულებით არის განმსჭვალული გარკვეული ტრადიციის მიმართ და კულტურული რევოლუციით ტრადიციების (კონკრეტულად, სადღეგრძელოს სახით თავისუფლების უწყინარი გამოხატვის) განადგურების მომხრეა.

ნაშრომში გაანალიზებულია რადიკალური, კონფლიქტური რიტორიკის კიდევ ერთი მაგალითი, ამჯერად ტრადიციულ ღირებულებათა დამცველების მხრიდან. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეთერში სწორედ იმ გადაცემაში მიიწვია ორგანიზაცია „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ლიდერები, რომელსაც ისინი ახალგაზრდობაზე “გამხრწნელ” ზემოქმედებაში სდებდნენ ბრალს. კავშირის წევრებმა, გადაცემის კონტენტის გამო, საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ საპროტესტო აქცია გამართეს და პროკურატურასაც კი მიმართეს შესაბამისი შინაარსის საჩივრით. გადაცემათა ციკლის სახელწოდებით „კედელი“ ერთი გადაცემა (2008. 03. 12) მიექდუნა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ საპროტესტო მოთხოვნებზე მსჯელობას. მათი პრეტენზიით, ახალგაზრდულ გადაცემაში ხშირად საუბრობდნენ მოზარდ თაობასთან ისეთ თემებზე, რომელიც მმკ-ის აზრით, არ შეიძლება ახალგაზრდებს შორის საჯარო განსჯის საგანი იყოს. ხსენებულ გადაცემაში გამოჩნდა, რომ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ქსენოფობიურ დამოკიდებულებას არ იზიარებს გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი. ისინი მიიჩნევენ, რომ დასავლური პოსტმოდერნისტული სამყაროს ცხოვრების წესის მიმართ საზოგადოების ერთი ნაწილის სურვილი – ჩაკეტონ ქართული საზოგადოება ტრადიციულ დოგმებში ისე, რომ არ დაუშვან სხვა

კულტურების მასზე ზემოქმედება, ამჟამინდელი გლობალური სამყაროს ისტორიულ მოცემულობაში, სრულიად განუხორციელებელია, თუმცა ამის მიუხედავად, ვინაიდან აღიარებენ რწმენისა და გამოხატვის თავისუფლებას, მაინც საჭიროდ მიიჩნევენ დაეთმოს ამ საკითხებზე მსჯელობას ღია ეთერი. სწორედ ამგვარმა პოზიციამ მოიტანა ეფექტიანი შედეგი – რადიკალიზმი შენეულა, გადაცემამ კი მუშაობა ჩვეულ ფორმატში განაგრძო. აუდიტორიისთვის ცხადი გახდა, რომ სწორედ მსჯელობისთვის ჩაკეტილი, ფობიებით დათრგუნული, რადიკალიზებული მედიასივრცის პირობებში ახერხებენ საპირისპირო პოზიციაზე მყოფი საზოგადოების გულწრფელი მისწრაფებების გამოყენებას ინტერესთა ჯგუფები და ანგარებიანი პიროვნებები, ვინაიდან, ისევე, როგორც ნებისმიერ ქსენოფობიურ საზოგადოებას, ამგვარი შიში მათაც აქცევს ძალზე მოწყვლადებად სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების გავლენის მიმართ.

მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ 2013 წლის 17 მაისის აქციის დარბევა, რომელმაც მსოფლიო და ქართული მედიის ყურადღება მიიქცია და საქართველო აგრესიული პომოფობი ადამიანების ქვეყნად წარმოაჩინა ცივილიზებული საზოგადოების თვალში. ამ მოვლენებიდან ორი წლის შემდეგაც კი პასუხგაუცემელი დარჩა შეკითხვა: ვის ინტერესში იყო ამგვარი პროვოკაციის მოწყობა და რეალურად ვინ იყო ამ საშინელი დარბევის ინიციატორი.

ნაშრომში საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაზე „კედელი“ განსაკუთრებულად იმიტომაც მახვილდება ყურადღება, რომ დაპირისპირებული მხარეების ერთად დასხდომისა და მაყურებლისათვის უადრესად საინტერესო ხანგრძლივი განსჯის შემდგომ, დაპირისპირება შენეულა და ”მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა“ საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ გამართული აქციაც შეწყვიტა, რაც თავისთავად დადებითი ფაქტი იყო.

ამას გარდა, ნაშრომის ამ თავში წამოწეულია ის საკითხიც, თუ რამდენად ღიძია მედიის მიერ ახალ კულტურულ ღირებულებათა შექმნის შესაძლებლობები და როგორ ანაცვლებს მედია ამ პროცესში რელიგიას, რომელიც მედიაკულტურის ჩამოყალიბებამდე ცხოვრების ყოფით წესებს, ეთიკასა და ცხოვრების მორალს, ანუ კულტურულ ღირებულებებს უდგენდა საზოგადოებას და ამ ფუნქციის ტრადიციული განმახორციელებელი იყო.

კვებავს თუ არა ტერორიზმს მედია თავისი ღიაობით ან პირიქით, ჩაკეტილობით სწორედ იმის გამო, რომ იგი უფროსის მისთვის მიუღებელი აზრის შესახებ ღიად მსჯელობას? – ეს არის შეკითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც თანამედროვე საზოგადოებისთვის მთავარი გამოწვევაა. როგორც ირკვევა, ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს.

პარიზში, 2014 წლის 7 იანვარს ფრანგულ სატირულ ჟურნალ “Charlie Hebdo”-ზე განხორციელებული თავდასხმა სამწუხარო მაგალითია იმ საფრთხის, რომლის აცილებას თანამედროვე სამყაროში არსებული მედიარეგულაციები ვერ უძლებს. “Charlie Hebdo”-ზე განხორციელებულმა თავდასხმამ და მასობრივმა მკვლელობამ ამგვარი დისკუსიის ველი გახსნა და ალბათ, საჭიროა ამ შეკითხვას დამკვიდრებული შაბლონების გვერდის ავლით გაეცეს პასუხი.

ნაშრომში განვითარებულია მოსაზრება, რომ ვიდრე ცივილიზებულ სამყაროში სამხედრო მეთოდებით მოქმედება გამართლებული და დასაშვებია, და იგი მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ შესაძლებელ მეთოდად მიაჩნიათ გარკვეული სახელმწიფოების ლიდერებს და მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ინტერესთა ჯგუფებს, სავარაუდოა, რომ მოწინააღმდეგე მხრიდანაც ასევე მოიძებნება ფინანსური და ადამიანური რესურსი, რომელიც მზადაა თავისი მიზნებისთვის ძალადობა, ანუ ამ შემთხვევაში ტერორიზმი გამოიყენოს.

როგორ პასუხობს მედია ამ გამოწვევებს? ხომ არ ხდება იგი უნებლიე იარაღი აგრესიული ძალების ხელში? საინტერესოა იმ სოციო-ფსიქოლოგიური მიზეზების ანალიზი, თუ რატომ ექცევიან მშვიდობიან გარემოში აღზრდილი ადამიანები “ისლამური სახელმწიფოს” მსგავსი აგრესიული ორგანიზაციების გავლენის ქვეშ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი თავადაც მსხვერპლნი ხდებიან, როდესაც მათ მკვლელობის იარაღად აქცევენ. ამ პროცესში ხშირად გამოყენებულია ელექტრონული მედიაც. მაგალითად, თავისუფალი ინტერნეტ-სივრცე, ასევე ტელეკომპანიები “ალ-ჯაზერა” და “ალ-არაბია”, რომლებიც ზოგიერთი აგრესიული მუსლიმი იმამების მიერ გამოცხადებული ჯიჰადის შესახებ ინფორმაციას ავრცელებენ, ან თუნდაც დასავლური კულტურისათვის კარგად ნაცნობი და ახლობელი მედია საშუალებები, რომლებიც დემოკრატიის სახელით წარმოებულ სამხედრო ოპერაციებს პირდაპირ ეთერში გადასცემენ. შესაბამისად, ამ მოვლენების მოწმე და უნებლიე მონაწილე ხდება მედიის

აუდიტორია. აღნიშნული სამხედრო მოქმედებების შედეგად კი, როგორც ცნობილია, უამრავი ადამიანი (მათ შორის მშვიდობიანი) იღუპება. დემოკრატიულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ჟურნალისტური სტანდარტით, მედიას მოხსნილი აქვს პასუხისმგებლობა მის მიერ ინფორმაციის გავრცელების შედეგზე. მთავარი პრინციპია დაცული იყოს ინფორმაციის სიზუსტე და მედიასაშუალება ინფორმაციის გავრცელებით გამოწვეულ შემდგომ მოვლენებზე პასუხს არ აგებს. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი დაცული იყოს გამოსატყვის თავისუფლება.

საქართველოში მედიის გამოცდილებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოება, რომელიც უფრო კონსერვატიულია, ფრთხილად ეკიდება ახალს და მტკივნეულად ემშვიდობება ტრადიციულ ღირებულებებს. შესაბამისად, საზოგადოება უფრო მეტად ქსენოფობიურია, ვიდრე მისივე ახალგაზრდა, გაბედული მედია, რომელიც ძირითადად დასავლურ გამოცდილებასა და ღირებულებებზე აღიზარდა და ჩამოყალიბდა.

რასაკვირველია, ცალკეული რადიკალური შემთხვევების განზოგადება არ შეიძლება არც რელიგიებზე, არც რწმენასა და არც კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებზე. მაგალითად, ბრევიკის მიერ ჩადენილი მასობრივი მკვლელობა (ტერორისტული აქტი) ვერაფრით ჩაითვლება მისი ქვეყნის მოქალაქეების დამოკიდებულებად უცხოელი სტუდენტებისადმი, ისევე როგორც ორი კონკრეტული მუსლიმი ფუნდამენტალისტის მიერ რედაქციაში ჩადენილი მასობრივი მკვლელობა ვერ ჩაითვლება ზოგადად ისლამის, როგორც სარწმუნოების დამოკიდებულებად და ზოგადად ისლამურ ტერორიზმად სიტყვის თავისუფლებისადმი და მედიისადმი. სწორედ ამიტომ, ძალიან გასაგებია პარიზში, “Charlie Hebdo”-ს რედაქციაზე თავდასხმის გამო მოპროტესტე მილიონობით ადამიანის ლოზუნგი „ჩვენ ვებრძვიტ ტერორიზმს და არა ისლამს!“

ნარომში კიდევ ერთი მაგალითია მოყვანილი ქართული მედიის მუშაობიდან – საქართველოს ერთ-ერთი რეგიონული მედიის, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ვებ-გვერდზე 2015 წლის 23 ივნისს გამოქვეყნდა ინფორმაცია ექსტრემისტულად განწყობილი ადამიანის მუქარის შესახებ საქართველოს მოქალაქე, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ჟურნალისტების მიმართ მუსლიმური აღმსარებლობის დაცვის საბაბით. კარიკატურაში დახატული გამონგრეული გალია, რომლის წინაც წიგნებით ხელში დგანან ახალგაზრდა

ჟურნალისტები, მუქარის ავტორმა მეჩეთის დანგრევად აღიქვა და იმის მიზეზად ჩათვალა, რომ ჟურნალისტებს, ალაჰის დაფიცებით, დახოცვით დამუქრებოდა.

“Charlie habdo”-ს თანამშრომლების მიმართ განხორციელებული ტერაქტი და ქართული ონლაინ გამოცემა “რენესანსის“ ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული მუქარა იმის მაგალითად გამოდგება, რომ რელიგიური გრძნობები, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ საბაბია იმ ექსტრემალურად განწყობილი ადამიანებისთვის, ვინც ამ გრძნობების შებღალვის სახელით ილაშქრებს გამოსატვის თავისუფლების წინააღმდეგ. რაც შეეხება ამ უკანასკნელ შემთხვევას, გამოსავალი უსაფრთხოების სამსახურების დღეს არსებული კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედებაა და არა ახალი რეგულაციების შემოღების ლოდინი.

დისერტაციის IV თავში აღწერილია ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ ეპოქაში დომინანტური მედიაკულტურის გლობალური ხასიათი და კონკრეტულ მაგალითად მოყვანილია საქართველოს და სხვა პოსტსაბჭოთა მედიის დაახლოება გლობალურ მედიაკულტურასთან. პოსტმოდერნული სამყაროს აღსაწერად კი მოყვანილია ავანგარდული კულტურის შეღწევის ფაქტები ისეთ ჩაკეტილ კულტურულ სივრცეში, როგორც სოცრეალისტური კულტურა იყო.

როგორც ცნობილია, ავანგარდმა მოიცვა ყველა სახელოვნებო სფერო XX საუკუნის ევროპულ კულტურაში. პოეტი არტურ რემბო ტრადიციულ კულტურაზე უარის თქმის აუცილებლობას ერთ ფრაზაში განმარტავს: «Il faut etre absolument moderne»³ (“უნდა იყო აუცილებლად თანამედროვე”).

ფრანგულ კულტურას ნაზიარებმა ქართველმა მხატვარმა, დავით კაკაბაძემ საბჭოთა სოციალისტური პარადის ამსახველ ტილოშიც კი შეძლო ავანგარდისტული სიმბოლოების და კოდების ჩადება. ცენზურა რომ გაეგლო, კაკაბაძემ იმერეთის „ხალიჩისებრ“ პეიზაჟებში ჯერ ელექტროსადგურის გამოსახულება ჩართო, როცა ესეც არ მოუწონეს – სოციალიზმის მშენებლები არ ჩანანო, მან ერთ-ერთ სურათში, იმერეთის მთის ქვეშ, დემონსტრანტები წარმოადგინა ტრანსპარანტებით ხელში („მიტინგი იმერეთში“, 1942 წ.). ლენინის, სტალინის და ბერიას პორტრეტები იყო გამოსახული

³“Une Saison en Enfer” <http://www.mag4.net/Rimbaud/poesies/Adieu.html>

ტრანსპარანტებზე, რომელიც დემონსტრანტებს ხელში, თავს ზემოთ ეჭირათ. ფერწერულ ტილოზე ტრანსპარანტები ბელადების პორტრეტებით ადამიანებზე გაცილებით დიდი ზომისაა, მაგრამ ამ ყოველივეს თავზე ადგას მოდერნისტულ მანერაში შესრულებული მთა, როგორც მარადიულობის სიმბოლო, მის ძირში კი წარმავალი ადამიანები და ბელადები მოჩანს. ხელოვანის ეს პოზიცია, ისტორიამაც დაადასტურა, თან საკმაოდ ირონიულადაც – სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სრუშოვმა ბრძოლა გამოაცხადა “პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ, მუზეუმის საცავში, კაკაბაძის ტილოზე, ბერიას და სტალინის პორტრეტები საღებავებით გადაფერეს, – ასე გაქრა ტილოდან წარმავალი და დარჩა მარადიული.

70 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში “ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბების აუცილებლობა სახელმწიფო დონეზე იყო დეკლარირებული, ხოლო სახელოვნებო სფეროს მუშაკები ”ადამიანთა სულის ინჟინრებად“ იწოდებოდნენ და მათ პირდაპირ მოვალეობად ითვლებოდა რევოლუციამდელი, ძველი სამყაროს ადამიანის მენტალიტეტში კორექტივების შეტანა და ახალი საბჭოთა მენტალობის ადამიანის შექმნა

1920–იანი წლების საბჭოთა კინომატოგრაფის ძირითადი პრინციპი საბჭოთა რეჟისორმა ვსევოლოდ პუგოვიჩმა თავის 1926 წელს გამოცემულ წიგნში „დრო კინემატოგრაფში“ აღწერა, როგორც „იდუის დიქტატურა“ (ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სიტყვა „დიქტატურა“, რომელიც დღევანდელი დემოკრატიული განვითარების ცივილიზაციის ადამიანისათვის ერთმნიშვნელოვნად უარყოფით კონტექსტს მოიცავს, იმ პერიოდში ასე არ განიხილებოდა. ლენინის შეთავაზებული “პროლეტარიატის დიქტატურა“ ახალი სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ პირობად და საყოველთაო სიკეთედ იყო გამოცხადებული).

როგორც ცნობილია, მსოფლიო კულტურაში XX საუკუნის დასაწყისი შევიდა, როგორც რელიგიური იდეების ეჭვქვეშ დაყენების, ღირებულებათა ტოტალური გადაფასებისა და სამყაროს ახლებური სურათის დაბადების ხანა. ფრიდრიხ ნიცშეს დეკლარირებული „ღმერთი მოკვდა“, ზიგმუნდ ფროიდის შემოთავაზებული „ქვეცნობიერი“, როგორც ადამიანის ქცევის ძირითადი განმპირობებელი, ახალი ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობები, ბურჟუაზიული მორალის მარქსისტული გააზრება ნიჰილიზმისა და დეკადენსის ნიშნით აღბეჭდილი ხელოვნების საფუძველი ხდება. მსოფლიოში ეჭვქვეშ

დგება რელიგიური დოგმატიზმი, ტრადიციული მორალი, რაც ცხადია, აისახა კიდევ დასავლურ ხელოვნებაში, მათ შორის კინემატოგრაფშიც. მაგრამ, თუ დანარჩენ მსოფლიოში ეს პარადიგმის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი პროცესია და ინტელექტუალთა და ხელოვანთა (ფილოსოფოსების, მწერლების, მხატვრების) ძიებაა ძველი ღირებულებების მსხვერვის ნიშნით აღბეჭდილ რეალობაში, საბჭოთა კავშირში – ეს უპირველესად მმართველი წრებიდან წამოსული ინიციატივა და დაკვეთაა მასკულტურისა და მედიისთვის, რომ ფილოსოფიურ აზრსა თუ ხელოვნებაში შექმნილი ძიებები გამოიყენოს თავის სასარგებლოდ და ძალადობრივი ხელისუფლების განსახორციელებლად.

თავისებურ პოლიტიკურ მითად და, იმავდროულად, ახალ რელიგიად იქცა კომუნიზმის იდეა, რომელიც თანდთან ყალიბდებოდა და იხვეწებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკებმა შექმნეს კვაზირელიგიური კულტი, რომელშიც ლენინი იყო მამადმერთი, სტალინი კი მისი საქმის გამგრძელებელი, რომელსაც მემკვიდრეობად, ეგვიპტელი ფარაონების მსგავსად, ლენინის ღვთაებრივი ბუნება ხვდა წილად – ფორმულის მიხედვით „სტალინი – ლენინია დღეს“⁴ – ამ პათოსის სტატია ბელადის, იოსებ სტალინის დაბადებიდან 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაიბეჭდა მთავარ საკავშირო გაზეთში “პრავდა”.

ცივილიზაციის მიერ მოტანილი ყოფითი სიკეთეებიც კი ლენინის პერსონას მიეწერებოდა. მაგ. საბჭოთა კავშირში „ილიჩის ნათურას“ უწოდებდნენ ელისონის გამოგონებას – ელექტრონათურას.

ყველა, ვინც „ბოლშევიკური პროგრესის“ მეცნიერულ და ცენზურის მიერ კულტურაზე დაწესებულ, აღიარებულ იდეოლოგიურ ჩარჩოებში არ ჯდებოდა და მათ მოთხოვნებს არ იზიარებდა, ცხადდებოდა ბურჟუაზიული დეკადენსის გამავრცელებლად, “ხალხის მტრად“ და ექვემდებარებოდა განადგურებას. სწორედ იმიტომაც, რომ „ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად“, ყველა ტრადიციული რწმენა მცდარად და მავნედ გამოცხადდა, ამ იდეის მედიაში დამკვიდრება კი ხელისუფლების პირდაპირი ღირექტივა იყო. ეს პირველად მკაფიოდ გამოჩნდა 1930 წელს გადაღებულ მუნჯ ფილმში – „წმინდა იორგენის დღესასწაული“, რომელიც შემდგომში მისაბამ მაგალითად იქცა. დანიელი მწერლის, ჰარალდ ბერგსტედტის (Bergstedt, 1877–1965)

⁴Сталин — это Ленин сегодня — ციტატა სტალინ-პანეგირიკიდან, რომელიც 1939 წელს გაზეთ “პრავდაში” ანასტას მიქოიანის ავტორობით დაიბეჭდა.

ანტირელიგიური ნაწარმოები – “წმინდანების ფაბრიკა“ 1924 წელს ითარგმნა რუსულ ენაზე, ხოლო მისი მიხედვით მუნჯი კინოკომედია – “წმინდა იორგენის დღესასწაული” რუსმა რეჟისორმა იაკობ პროტაზანოვმა გადაიღო. სუბტიტრები კომედიისთვის ილფმა და პეტროვმა დაწერეს, ფილმმა საბჭოთა ქვეყანაში მალე მოიხვეჭა პოპულარობა და ისე მოეწონა საბჭოურ ცენზურას, რომ 1935 წელს გამოვიდა მისი ხმოვანი ვარიანტი. ამ ფილმში პირველად შემოვიდა ეკლესიის თემა სპეციფიკური, სატირული გააზრებით. სატირულ კომედიაში ეკლესია დახატულია, როგორც მომხვეჭელი და ხალხის სიცრუით დამორჩილების ინსტიტუტი, რომელშიც შარლატანები მსახურობენ. ამგვარი სახე ძალზე ტიპურია მთელი შემდგომი საბჭოური კინემატოგრაფისათვის, თუმცა აღსანიშნავია, რომ არსებობს გარკვეული განსხვავებებიც ეკლესიისა და ტრადიციის მიმართ დამოკიდებულებაში 1920-იანსა და 1960-იანი წლების კინემატოგრაფს შორის.

შესაძლებელია ითქვას, რომ 1966 წელს ანდრეი ტარკოვსკის გადაღებული ფილმი – “ანდრეი რუბლიოვი“ იწყებს რელიგიასთან ახლებური დამოკიდებულების პერიოდს საბჭოთა კინემატოგრაფში.

მართებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვით სწორედ სამოციანი წლებია მიჩნეული წყალგამყოფად და ამ წლებიდან იწყება საბჭოური აუდიო-ვიზუალური მედიის განვითარების მეორე ეტაპი, მეტი შემოქმედებითი თავისუფლებისა და იდეოლოგიური წნეხის შედარებით შესუსტების ხანა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პერიოდს წინ უძღოდა მორიგი დიდი გარდატეხა, რომელიც პარტიის XX ყრილობასა და “პიროვნების კულტის“ დაგმობას მოჰყვა.

რაც შეეხება პირველ ეტაპს, ცხადია, რომ XX საუკუნის პირველი ნახევრის საბჭოთა პერიოდის უდავოდ ნიჭიერ ხელოვანთა შემოქმედებას, განსაკუთრებით მძიმე წნეხისა და კონკრეტული, სპეციფიკური ისტორიული კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, ვერ განვიხილავთ.

მიხეილ კალატოზიშვილის “მუნჯი” ფილმი – „ჯიმ შვანთე“ (“მარილი სვანეთს”) (1930წ.) რეჟისორის ოსტატობის, ინოვაციური გამომსახველობითი ტექნოლოგიური აღმოჩენების, თემის ეგზოტიკურობის, სიმძაფრისა და სხვა მრავალი ღირსების გამო, მისი იდეოლოგიური დატვირთვის მიუხედავად, სამართლიანად ითვლება ქართული საბჭოთა კინოს შედეგად.

დროის სულისკვეთების გათვალისწინებით, სრულიად გასაგებია ზემოხსენებულ ფილმში ეკლესიის სიმბოლოდ – ჯვარზე დაყრილი ფულის წარმოსახვა, ხოლო ეკლესიის მოწოდებით სამარეში ჩასახტომად მორბენალი ბრბო, – საბჭოთა კინომცოდნეების მიერ განმარტებულია, როგორც ევროპული ავანგარდისტული აზრის გამოძახილი, მაგრამ, აქ საგულისხმოა ის დაკვირვებაც, რომ ხსენებული კადრები ზუსტ თანხვედრაშია კარლ მარქსის რელიგიისადმი დამოკიდებულებასთან. ისიც კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფილმის ეს ეპიზოდი კ. მარქსის და ლენინის მიდგომის „რელიგია – ოპიუმია ხალხისათვის“, ინტელექტუალური მონტაჟის ხერხით გადმოცემული ეკრანული ასახვაა. ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ, შესაძლოა ითქვას, რომ აღწერილი ორი კულტის – ლენინიზმის, როგორც სამყაროს ხალხებისათვის თანასწორობისა და სამართლიანობის მიწაზე განხორციელების საშუალება (ანუ კომუნიზმის რწმენა, როგორც მიწიერი სამოთხის მიღწევის იდეოლოგიისა) და ტრადიციული ეკლესიის თანაარსებობა, შეუძლებელი შეიქმნა. ეს პროცესი მედიასა და კინემატოგრაფში მძაფრად აისახა. ტრადიციული ეკლესიის ამოძირკვას ბოლშევიკური ხელისუფლება შეუდგა, როგორც პირდაპირი, უხეში ძალადობით, ასევე აღზრდის პროცესიდან და ცნობიერებიდან მისი წაშლით. მკაცრი სატირული განწყობები თანდათან ჩაანაცვლა იუმორმა.

ეკლესიის მსახურისა და არისტოკრატის კომიკური პერსონაჟები ხშირად გვხვდება XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ და სხვა საბჭოურ კომედიურ კინემატოგრაფში. ეკლესიისა და ტრადიციული არისტოკრატის მიმართ იუმორისტულ-სატირული დამოკიდებულება დამახასიათებელია არა მხოლოდ კინემატოგრაფისთვის, ამას ემსახურება იმ პერიოდის სხვა პროპაგანდისტული მედიაც, მაგრამ კომედიური კინემატოგრაფი და ამ ნაშრომში აღწერილი მღვდლის სახასიათო პერსონაჟი, შეიძლება ითქვას, კომედიური კინემატოგრაფისათვის თითქმის განუყოფელი ხდება.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობთ ცალსახად პროპაგანდისტულ, სოცრეალისტურ, კომედიურ კინემატოგრაფს – სოცრეალიზმის ტიპურ პროდუქციას, რომელსაც ე.წ. უდარდებლობის ხანის საბჭოური კინემატოგრაფი რეგულარულად აწარმოებდა, არამედ მიმოხილულია ნამდვილად ნიჭიერად გადაღებული, შესანიშნავი კინოკომედიები, რომლებშიც რეჟისორები, რელიგიის მიმართ გულწრფელ ირონიულ დამოკიდებულებასაც ავლენდნენ და ამავე დროს, ხარკსაც უხდიდნენ საბჭოურ ცენზურას, რომ

არაპროპაგანდისტული ე.წ. ლირიკული კომედიების თავისუფლად გადაღების უფლება მოეპოვებინათ და ამ ფილმებს ეკრანებზე გამოსვლის შანსი ჰქონოდა. ასე რომ, ეს ფილმები უფრო თავისუფალი სულის გამოვლინებად შეიძლება ჩავთვალოთ, ვიდრე ტიპურ, საბჭოურ პროპაგანდად.

1960-იანი წლებიდან იწყებს მაუწყებლობას საქართველოს ტელევიზია (გაიხსნა 1956 წელს, ყოველდღიური გადაცემებით ეთერში გავიდა 1961 წლიდან), რომლის რელიგიასთან დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვანია: მაყურებელმა კარგად იცის, რომ აღდგომის ღამეს საბჭოთა საქართველოს ტელევიზია პოპულარულ უცხოურ ფილმებს აჩვენებს – ეკლესიაში წასვლის ნაცვლად ხალხი ტელევიზორებს რომ მიეჯახკოს.

პოსტსაბჭოთა საქართველოს ახლებური ჟურნალისტიკის ათვისებასა და გააზრებაში, ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროში, ძველი პროფესიონალების გამოცდილება გამოუსადეგარი გახდა. უფროსი თაობის “მონანიება” ახალმა თაობამ საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია მათი ახალ სამყაროში ინტეგრირებისათვის და აგრესიულად დაუპირისპირდა საბჭოური სახელმწიფოს კულტურულ ელიტას.

ამ კონტექსტში საინტერესოა რუსი საბჭოთა რეჟისორის, ელდარ რიაზანოვის ფილმი „აღთქმული ზეცა“ (“Небеса обетованные”), რომელიც საბჭოეთში ძალზე პოპულარულმა რუსმა რეჟისორმა უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთში გადაიღო და რომელიც საბჭოეთის პერიოდის ინტელიგენციის რომანტიკული ილუზიების მსხვერველს ეძღვნება.

მართლაც, უცნაური ირონიაა, რომ ახალი ქვეყანის (საბჭოთა კავშირი) ახალი კულტურა დაიწყო ეიზენშტეინის გენიალური ფილმით – „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, სადაც ჯავშნოშან პოტიომკინზე საჭმელად უვარგისი, მატლებდახვეული, გახრწნილი ხორცის გამო ატეხილი ბუნტი გადაიქცევა რევოლუციად, ხოლო ამ რევოლუციის საფუძველზე შექმნილი ქვეყნის ისტორია და კულტურული ტრადიცია დასრულდება თენგიზ აბულაძის ფილმით, რომელსაც საგულისხმო სათაური აქვს – “მონანიება“. ამ ფილმში პირველი ბოლშევიკური დიქტატურის ერთ-ერთი შემოქმედის, მოძალადე მამის, ვარლამის შვილი – აბელ არავიძე (რეალობას შეგუებული კონფორმისტი და მორჩილი, საკუთარი პრიმიტიული არსებობით კმაყოფილი საბჭოეთის ტიპური მოქალაქე, შეძრული იმით, რომ მისმა შვილმა ბაბუამისის ცოდვების შეტყობის შემდგომ თავი მოიკლა), გამოიღვიძებს, აღშფოთებული საფლავიდან

ამოთხრის საკუთარი მამის, ვარლამ არავიძის გახრწნილ გვამს და სანაგვეზე გადაადგებს. ერთი ფრაზით თუ შევაჯამებთ საბჭოთა კინემატოგრაფის კულტურულ, იდეურ, კონცეპტუალურ და ფილოსოფიურ სტრუქტურას და მისი მეტაფორული განვითარების ისტორიას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაფუჭებული ხორციით დაწყებული საბჭოთა კინემატოგრაფი გახრწნილი გვამის გადაადგებით დასრულდა.

თენგიზ აბულაძის “მონანიების“ პირდაპირი მინიშნებებისგან განსხვავებით, რომელშიც ფილმის მთავარი გმირი ფიზიკურადაც კი ჩამოჰგავდა ლავრენტი ბერიას, რეჟისორ ელდარ შენგელაიას ფილმი – “ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი” (1984 წ.) ერთი კონკრეტული ორგანიზაციის – გამომცემლობის მაგალითის განზოგადებით გვიხატავს მოსალოდნელი კოლაფსის სურათს. ამ გამომცემლობაში შექმნილი სიტუაცია გვინვენებს, თუ როგორ ამოწურა თავი საბჭოთა ბიუროკრატიულმა სისტემამ და მასში მომუშავე ადამიანებიც მხოლოდ საქმიანობის ილუზიის შექმნით არიან დაკავებული, რეალურად კი აფერხებენ შემოქმედის ნაშრომის რეალიზაციას. ფილმის ფინალში ინგრევა შენობა, ანუ საბჭოთა კავშირი, რომლის დანგრევის საფრთხეს მხოლოდ ერთი კომიკური პერსონაჟი (მარკშიდერი) ხედავს, თუმცა მის შემფოთებას ყურადღებას არაფერ აქცევს და მონდომებით განაგრძობენ ფუჭ საქმიანობას.

საბჭოთა ხანაში აღზრდილ მშობლების თაობას გაუჭირდა მენტალურადაც. მათი მორალი და ღირსეული ქცევის კოდექსი დისფუნქციური გახდა ახალ, პოსტმოდერნულ რეალობაში. ახალი ცხოვრების წესსა და ტექნოლოგიებს საშუალო ასაკის თაობის უდიდესმა ნაწილმა ალღო ვერ აუღო და სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. ამან ისინი აქტიური სოციალური ცხოვრების პროცესის მიღმა დატოვა. მათმა დიდმა ნაწილმა ე.წ. “ტრადიციის დამცველის პოზაში” მიაგნო ახალ სოციალურ ფუნქციას. ამას დაემატა ტრადიციული საბჭოური ეკონომიკურ-ტექნიკური და კულტურული კავშირების მოშლაც, რამაც ისეთი ქვეყნები, რომლებსაც მსოფლიო ბაზრისათვის შესათავაზებლად ვარგისი ბუნებრივი ნედლეული არ გააჩნდა, უკიდურეს სიღატაკეში ჩააგდო. საერთო რეინტეგრაციის სულისკვეთების პროცესის შეჩერება არ გამოდგა ადვილი. მულტიეთნიკურ სახელმწიფოებში მცხოვრები ეთნოსებიც შეუერთდნენ დეზინტეგრაციის პროცესს და სეპარატისტული

მოძრაობები წამოიწიეს. საქართველოში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი ტერიტორიული მთლიანობის დამცველებსა და სეპარატისტებს შორის.

სამხედრო კონფლიქტის პერიოდში საზოგადოებამ მუსიკალური გადაცემების, კონცერტების და ა.შ. ტელეეთერში გაშვება დანაშაულებრივ გულგრილობად და საომარი სიტუაციისთვის შეუფერებელ საქციელად აღიქვა. ეროვნული ინტელექტუალური ელიტა, რომელსაც იმ პერიოდის პოლიტიკური და არაპოლიტიკური გადაცემების ეთერი მთლიანად ჰქონდა ათვისებული, ე.წ. ისტორიული სამართლიანობის გარკვევის პროცესში ჩაერთო, რის გამოც რეინტეგრაციისა და ნაციონალური იდენტობების თემებზე საუბრებით, კიდევ უფრო აღრმავებდა და ზედაპირზე ამოჰქონდა სიღრმისეული კონფლიქტები. ამას ემატებოდა მმართველობის სათავეებში პოლიტიკურ მართვაში გამოუცდელი, ყოფილი დისიდენტი ლიდერების მოსვლა (დემოკრატიული სახელმწიფოს მართვის გამოცდილების ქონა თითქმის შეუძლებელი იყო, ვინაიდან საბჭოთა სახელმწიფოში აღზრდილ თაობას წარსულში არ გააჩნდა დემოკრატიული მმართველობის პრინციპების შეთვისებისა და გამოცდილების შეძენის ასპარეზი). ამ ყოველივემ გამოიწვია პროცესები, რომელსაც საკმაოდ მტკივნეული ხასიათი ჰქონდა. საზოგადოების ნდობა სახელმწიფო ტელევიზიისა და არსებული ჟურნალისტური კორპუსის მიმართ საგრძნობლად შეირყა. განხეთქილება გაჩნდა საზოგადოების ომის მონაწილე ნაწილსა და მათ შორის, ვინც საბრძოლველად არ წასულა. ამგვარ საკითხებზე სატელევიზიო ეთერებში ღია მსჯელობას კიდევ უფრო მეტ დაპირისპირებაში შეჰყავდა საზოგადოება. სწორედ იმ პერიოდში გაჩნდა ტერმინი “წითელი ინტელიგენცია”, რითიც საზოგადოების ერთი ნაწილი (ყოფილი დისიდენტები და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები) მოიხსენიებდნენ საბჭოთა პერიოდში მოღვაწე კულტურის მუშაკებს. სიტუაციას ართულებდა ისიც, რომ ასეთი წარსულის ადამიანთა ერთმა ნაწილმა კენჭი იყარა და საქართველოს პარლამენტში მოხვდა, რომლის თაემჯდომარე იმ პერიოდში ედუარდ შევარდნაძე იყო. ეს დაპირისპირება არ განელებულა მაშ შემდეგაც, რაც “ვარდების რევოლუციის” შემდგომ 2004 წ. ედუარდ შევარდნაძე ახალგაზრდა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა შეცვალა. იმ პერიოდის პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ჟვანია კარგად ხვდებოდა საბჭოთა პერიოდის ინტელიგენციის საზოგადოებრივი გავლენის მნიშვნელობას და სახელოვნებო ელიტის დანიშნულებას, მაგრამ პრემიერ-მინისტრის მოულოდნელი გარდაცვალების

შემდგომ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა გადაწყვიტა ახალი თაობის წიაღში მოექებნა თავისი დასაყრდენი ინტელექტუალური ელიტა იმ ახალგაზრდა მწერლებსა და მუსიკოსებს შორის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ჩამოყალიბდნენ, როგორც პროფესიონალები და მხარს უჭერდნენ “ვარდების რევოლუციას”.

ამერიკული პოლიტიკური სკოლის წარმომადგენელი ს. კოენი წერს „არც ერთი პოლიტიკური სისტემა არც ერთ ქვეყანაში არ იქნება სტაბილური, თუ იგი არ დაბადებულია იმ ქვეყანაში, როგორც საკუთარი პოლიტიკური კულტურის განვითარების შედეგი“⁵.

ამ გამონათქვამის მცირე პერიფრაზი რომ გაგაკეთოთ, ვერც კულტურული ღირებულებები იქნება სტაბილური, ვიდრე იგი არ იპოვის თავის ადგილს, თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად, ერის ტრადიციულ კულტურასა და ტრადიციულ ღირებულებათა საერთო სამოქალაქო კონსენსუსის საფუძველზე რეფორმირებულ სისტემაში. ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კულტურულ ღირებულებათა პირდაპირი ექსპორტის განხორციელება, ადაპტაციის წინააღმდეგობრივი გზის გავლის გარეშე, შეუძლებელია. ამ ღირებულებებს საზოგადოება იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ძველის და ახლის დაპირისპირების და წინააღმდეგობათა გადალახვის შემდეგ, რომელსაც ერი თავად გაივლის, ყველა სიახლე მისთვის ბუნებრივი გახდება. ამიტომ, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის მონდომებული მცდელობები – რელიგიური და სხვა უმცირესობების მიმართ ტოლერანტული იყოს საზოგადოება, მხოლოდ მას შემდეგ მიიღწევა, როდესაც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული, ტრადიციულ ღირებულებებს მორგებული საზოგადოება გათავისუფლდება ქსენოფობიური დამოკიდებულებისგან ახალი გლობალური სამყაროს გამოწვევების მიმართ, ანუ მხოლოდ სიახლისა და რეფორმაციის მიმართ თავისი შიშნარევი დამოკიდებულებისაგან ემოციური და მოტივაციური გათავისუფლების შემდეგ.

დაპირისპირება მძაფრად გამწვავდა “ვარდების რევოლუციით” მოსული და პროდასავლური ორიენტაციის დეკლარირებით თავის დამკვიდრების

⁵Актуальные проблемы современной зарубежной политической науки. — М., 1990. — გვ. 10.

მოსურნე ახალგაზრდა, რეფორმატორი ხელისუფლების პირობებში მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთელი ქართული საბჭოთა პერიოდის კულტურის მოღვაწეები, რომლებსაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის პერიოდიდან “წითელ ინტელიგენციად” მოიხსენიებდნენ, “ჩარეცხილებად” გამოაცხადა. ეს “სიძულვილის ენის” ტერმინი შემდგომში მრავალჯერ გახდა მწვავე დისკუსიის მიზეზი არაერთ ტოკ-შოუში, რომლებშიც ძველი და ახალი თაობის კულტურის მოღვაწეები ერთმანეთს ეპაექრებოდნენ. ამ პროცესებმა და თანდართულმა ეკონომიკურმა კრიზისმა აგრესიული ეიჯიზმის აყვავება გამოიწვია. ცხადია, რომ ახალგაზრდები უფრო იოლად და სწრაფად ითვისებდნენ მათი მშობლების თაობისათვის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხელმიუწვდომელ (ქვეყნის კარჩაკეტილი პოლიტიკის გამო) სრულიად ახალ ტექნოლოგიებსა და ბიზნესში ახლებურ ეკონომიკურ დამოკიდებულებებს.

პროცესი დღესაც გრძელდება. ასეთ დრამატულ პირობებში დაიბადა ახალი ქართული ელექტრონული მედია – ტელევიზია, ახლებური რადიომაუწყებლობა და სრულიად ახლებური კინემატოგრაფი, რომლებიც ახალი, მათთვის აქამდე უცხო გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. კინემატოგრაფსაც და სამაუწყებლო მედიასაც თავად უნდა მოეპოვებინა ფინანსური, და შესაბამისად, სარედაქციო დამოუკიდებლობა იმ პირობებში, როდესაც ტელერადიოკომპანიების ინტერესი ჯერ კიდევ პოლიტიკური იყო და არა კომერციული.

დამოუკიდებელ საქართველოში მალევე შეიქმნა კინემატოგრაფისტთა საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაცია, რომლის კომპეტენციაში ქართველი კინემატოგრაფისტების (მათ შორის საბჭოთა პერიოდში შექმნილი) პროდუქციის დაცვა შედიოდა. მათი ლობირებით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც იცავდა ქართველი რეჟისორების საავტორო უფლებებს. სამაგიეროდ, არ არსებობდა კანონი, რომელიც შეზღუდავდა ინტერნეტმეკობრეობას. ამ მიზეზით, დაბალბიუჯეტის ქართული ტელევიზიების ეთერიდან სრულიად გაქრა ქართული კინოპროდუქცია და მთელი საეთერო დრო მეკობრულად მოპოვებულ, დასავლური მასკულტურის პროდუქციას ეთმობოდა. იმ პერიოდში გამოჩნდა ტელევიზიაში სხვადასხვა რელიგიური ინტერესთა ჯგუფების გადაცემები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ საკუთარი იდეების ტირაჟირებისთვის ტელეეთერის გამოყენებით და არ

ენანებოდათ თანხა მათი რელიგიური მსოფლმხედველობის გასაგრძელებლად (1996-1997 წწ.). ასე ინახავდა, მაგალითად, “საგუშაგო კომისი” გამოყოფილი დაფინანსება მათი არსებობის დასაწყისში ისეთ ტელევიზიებს, როგორც იმ წლებში იყო “კავკასია” და “ევრიკა”. ისინი დილის ეთერს უთმობდნენ იეჰოვას მოწმეთა სატელევიზიო ქადაგებებს. გარკვეული ხნის შემდეგ, როდესაც “ევრიკის” მეპატრონეები მიხვდნენ, რომ რელიგიით დაფინანსების მოძიება შესაძლებელი იყო, რამდენიმე წლით საკუთარი ეთერი მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ტელევიზიას დაუთმეს. შემდგომში ამ ტელევიზიის ბაზაზე შეიქმნა ტელეკომპანია “ერთსულოვნება”, რომელმაც 2013 წელს შეიძინა “ევრიკის” სიხშირე და ლიცენზია. ეს ტელეკომპანია, ძირითადად, მართლმადიდებლურ თემატიკაზე შექმნილ გადაცემებს უშვებს.

მაღალი ხარისხის შემეცნებითი გადაცემების შექმნა ბევრად ძვირი ჯდება, ვიდრე თუნდაც, ლოკალური ახალი ამბების. ამიტომაც, ყველა ახალშექმნილ ტელევიზიაში 1996-2004 წწ. პრიორიტეტული საინფორმაციო გამოშვებები გახდა. კულტურა ამ გამოშვებებში მხოლოდ ე.წ. მესამე ბლოკში ანუ სულ ბოლოში ხვდებოდა და, ძირითადად, მოვლენითი ხასიათის მოკლე რეპორტაჟებით ამოიწურებოდა. გაცილებით თავისუფალი ფორმატის დილის გადაცემების ეთერის შედარებით ხშირი სტუმრები იყვნენ კულტურის (სახელოვნებო და სამეცნიერო სფეროს) მოღვაწეები. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ტელევიზიებს ჰქონდათ იმის ფუფუნება, რომ შემეცნებითი გადაცემები შეექმნათ ან გამზადებული პროექტები შეეძინათ უცხოური ტელეპროდუქციის ბაზრობებზე.

2001-2002 წწ.-ში სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე გადიოდა საავტორო გადაცემა “ქიმერიონი”. მისი ავტორი, გიორგი ჩართოლანი კულტურის გამორჩეულ მოღვაწეებს ესაუბრებოდა. გადაცემა საინტერესო იყო იმიტაც, რომ მისი წამყვანი პროფესიონალი ხელოვნებათმცოდნეა და კომპეტენტური იყო შეკითხვების დასმისას. “ახლანდელმა თაობამ უნდა ნახოს ჭეშმარიტი ხელოვანი, რომ არ მოხდეს ფასეულობათა ნიველირება”, – ასე განმარტავდა გადაცემის კონცეფციას ავტორი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში (“კვირის პალიტრა” 2002-04-01);

კულტურის თემატიკას ეხება ხელოვნებათმცოდნე გოგი გვახარიას გადაცემა “წითელი ზონა”, რომელიც “რადიო თავისუფლებისა” და

საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტია და არაერთი წელია პირველი არხის ეთერში გადის. ამ გადაცემის ავტორი კინემატოგრაფს განიხილავს მისი ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური რაკურსით. ფილმის შესახებ ჯერ სხვადასხვა პროფესიის ინტელექტუალებთან მსჯელობს და შემდგომ სთავაზობს მაყურებელს მის ნახვას. თუმცა, ეს გადაცემა აუდიტორიის შედარებით მცირე სეგმენტზეა გათვლილი, ვინაიდან მისი პრიორიტეტი ინტელექტუალური კინოშედეგების ჩვენებაა.

დამოუკიდებელი ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ის დამფუძნებელმა, რომელმაც სწრაფად აულო აღლო ახალ რეალობას და ძირითადად საინფორმაციო მიმართულების ტელევიზია შექმნა, 1994 წელს საქართველოში მედიისთვის განკუთვნილი საერთაშორისო გრანტების დიდი ნაწილი მიიღო, რამაც ტელევიზიის სწრაფ წინსვლას შეუწყო ხელი. კომერციალიზაციამ მოიტანა თავისი მინუსებიც. ძირითადად განვითარდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სეგმენტი, ვინაიდან პოლიტიკური ჯგუფების ინტერესი, საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინათ მედია, ძალიან ძლიერი იყო. საკუთარი ინტერესის გასატარებლად ისინი არ იშურებდნენ პოლიტიკურ ფულს, სამაგიეროდ ძალზე სუსტი იყო ბიზნესის სარეკლამო ბაზარი, შესაბამისად, ასეთ სიტუაციაში კულტურისათვის მაუწყებლებს საეთერო დრო არ ემეტებოდათ და შემეცნებითი კომპონენტი თითქმის დაიკარგა მედიასივრციდან.

კერძო ტელეკომპანიებისაგან განსხვავებით, კულტურულ სეგმენტს ეთერში ყველაზე დიდხანს ინარჩუნებს საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნილი საქტელერადიოკომიტეტი, რომელიც მიუხედავად რეორგანიზაციის პროცესში შტატების შემცირებისა, მაინც ახერხებს უწყურადღებოდ არ დატოვოს კულტურასა და ტრადიციასთან დაკავშირებული თემების გაშუქება ეთერში. ჟურნალისტ თამარ ცაგარეიშვილის გადაცემა “შიამბეთ თქვენზე” საზოგადოებაში ცნობილი ადამიანების ტელეპორტრეტებს ამზადებდა. საუბარი ეხებოდა როგორც კულტურას, ასევე საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ტრადიციებსა და განსხვავებული ცხოვრების წესსაც.

პირველი კერძო ინტერნეტ-ტელევიზია – “არტარეა”, რომელსაც გაცხადებული აქვს, რომ მთლიანად ორიენტირებულია კულტურის საკითხების გაშუქებაზე და აქვს რამდენიმე ორიგინალური შემეცნებითი პროექტი (მაგ.

“ქუჩის აკადემია”), 2012 წლის მაისში შეიქმნა და ამჟამად უკვე საკაბელო არხია.

რაც შეეხება რელიგიასა და ტრადიციის თემების გაშუქებას, 2000 წლიდან ქართული არხები პირდაპირ ეთერში გადასცემენ საადღვომო და საშობაო წირვის რიტუალებს და ასევე იერუსალიმში წმინდა ცეცხლის გარდამოსვლას, რომელსაც მედიის ერთი ნაწილი აშუქებს, როგორც სასწაულს; მეორე კი – როგორც იერუსალიმიდან ცეცხლის გაცემის ტრადიციულ რიტუალს. საგულისხმოა ისიც, რომ თუ ადრე ამ მოვლენის ტრანსლირებას მორწმუნე საზოგადოება ძირითადად სახელმწიფო ტელევიზიის ვალდებულებად მიიჩნევდა, შემდგომში, აუდიტორიის დიდი ინტერესის გამო, კომერციული ტელევიზიებიც იბრძოდნენ იერუსალიმიდან ექსკლუზიური პირდაპირი ჩართვის უფლების მოსაპოვებლად. დღეს კომერციული ტელევიზიების ნაწილი ერთმანეთს ასწრებს, რომ იერუსალიმიდან სრულყოფილი სატელევიზიო სიგნალის მიღება უზრუნველყოს, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ეს ტრანსლირება მაღალ რეიტინგს მოუტანს, მიუხედავად ამისა, დღემდე ეს ექსკლუზიური უფლება მხოლოდ საზოგადოებრივ მაუწყებელს გააჩნია.

დამოუკიდებელ ტელეკომპანია “ტაბულაში” (მაუწყებლობს 2009 წლიდან) არსებობს გადაცემა “საუბრები რელიგიაზე”, რომლის წამყვანიც ლევან სუთიძეა. გადაცემაში ასევე საუბრობენ მოწვეული სტუმრები – ფილოსოფოსები, თეოლოგები და ა.შ. სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობებზე, ასევე იმაზე, თუ მათი აზრით, რამდენად სწორედ აქვთ გააზრებული ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და მის მრევლს ქრისტიანული ღირებულებების არსი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში, თბილისის მასშტაბით 24 საათის განმავლობაში, მაუწყებლობს საპატრიარქოს ტელევიზია, ”ერთსულოვნება,” რომელიც მთლიანად საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციისა და შეხედულებების პოპულარიზებას ემსახურება.

1998-2000 წლებში ჟურნალისტიკა საქართველოში ერთ-ერთი იყო პოპულარულ პროფესიათა შორის და უკვე საზოგადოების მაღალი ნდობით სარგებლობდა. ამან განაპირობა რამდენიმე წარმატებული კომერციული ტელევიზიის შექმნა და განვითარება. ანტენური სიგნალით პროდუქციის

გამავრცელებელი სამაუწყებლო მედიის პარალელურად ბაზარზე გაჩნდნენ ინტერნეტპროვაიდერები, სატელიტური და საკაბელო კომპანიები.

რამდენადაც ნაშრომში ელექტრონულ მედია განიხილება თანამედროვე კულტურის მნიშვნელოვან კომპონენტად, გაანალიზებულია, თუ რა წილი უკავია და რა საზოგადოებრივი გავლენა, ან განსაკუთრებული სპეციფიკა აქვს კულტურის, რელიგიისა და ტრადიციის ტრანსფორმირებაში მედიაკომპონენტს.

ათეისტურ გარემოში გაზრდილმა საზოგადოებამ ახალ ავტორიტეტად ეკლესია მიიჩნია და მნიშვნელოვნად იმატა ახალგაზრდებსა და მშობელთა თაობაშიც, ყოფილ კომუნისტებს შორის, ეკლესიური აღმიანების რაოდენობამ. ჟურნალისტიკის ვორქშოპებზე სასაუბრო თემა ხშირად ხდებოდა ეკლესიასა და მედიას შორის ურთიერთობის საკითხები. აქვე ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ მედიაპროდიუსერების უფროსი თაობა, საკუთარი ათეისტური წარსულის გამო, არ მიიჩნევდა თავს კომპეტენტურად რელიგიის საკითხებში და რელიგიასთან დაკავშირებული თემების გასაშუქებლად უპირატესობას ანიჭებდა ისეთ რეპორტიორებს, რომლებიც ეკლესიურები, შესაბამისად პროდიუსერების აზრით, კომპეტენტურები იყვნენ. ეს რეპორტიორები რელიგიური თემების გაშუქებისას რჩევას ეკითხებოდნენ საკუთარ მოძღვარს, რომელიც, ცხადია, ეკლესიის პოზიციის გამტარებელი იყო და, აქედან გამომდინარე, ამ საკითხების გაშუქებისას, რეპორტიორების მხრიდან, გარკვეულ მიკერძოებას ჰქონდა ადგილი. ამ სიტუაციას საკუთარ გადაცემაში “საუბარი რელიგიაზე: მედია და რელიგია – ფილოსოფოსი ლევან ღამბაშიძე”⁶, რომელიც 2014 წლის 30 ივნისს აიტვირთა youtube-ზე, გადაცემის წამყვანი ლევან სუთიძე ასეთი ლიდით წარადგენს: “რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს ამბიონზე ამალღებული ჟურნალისტების რელიგიურ პროპაგანდას; რატომ წარმოგვიდგენს პრესა სასწაულებს ფაქტად, ხოლო ირაციონალურ რწმენა-წარმოდგენებს ემპირიულ ჭეშმარიტებად; კათალიკოს-პატრიარქისა და სასულიერო პირთა განდიდებაში დამცრობილი პროფესია, რომლის წარმომადგენლებიც, წლების მანძილზე, პროზელიტიზმს ეწეოდნენ და ეწევიან”;

⁶საუბარი რელიგიაზე: მედია და რელიგია – ფილოსოფოსი ლევან ღამბაშიძე - https://www.youtube.com/watch?v=OMZ8YsoSS_4

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საავტორო გადაცემის წამყვანს, ჟურნალისტური ეთიკა არ უკრძალავს კომენტარის გაკეთებას. თუმცა, ჩემი აზრით, იგი ამ კომენტარებში ხაზგასმით რადიკალურია. შესაბამისად, ეს წამყვანი და ტელეკომპანია “ტაბულა” რადიკალურად ნეგატიურ პოზიციას უწევს ტირაჟირებას მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებაში. რაც შეეხება საავტორო გადაცემის “საუბრები რელიგიაზე” გამორჩეულობას სხვა ამ თემატიკაზე მიძღვნილი გადაცემებისგან, მისი ნიშაა წარმოაჩინოს სხვადასხვა დარგის სპეციალისტი-ინტელექტუალების, მეცნიერების შეხედულებები რელიგიასთან დაკავშირებით. ამ ნიშნით ირჩევს სტუმრებს გადაცემის ავტორი.

ტელეკომპანია “ტაბულას” საპირისპიროდ, რომელიც თავს მიუკერძოებელ არხად მიიჩნევს, ეკლესიის მიმართ გამოხატულად პოზიტიურია ტელეკომპანია “ერთსულოვნება”, რომელიც გაცხადებულად არის საპატრიარქოს ტელევიზია და შესაბამისად, მისი გადაცემების დიდი ნაწილი სწორედ საპატრიარქოს პოზიციას უწევს პოპულარიზაციას.

ნაშრომის V თავი წარმოადგენს კვლევას (ჩართულ დაკვირვებას), რომელიც წინამდებარე პროექტის ფარგლებში, ოთხი წლის (2008-2012წ.წ.) განმავლობაში ჩატარდა. ამ პროექტის შედეგად შესწავლილი იყო ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტების დამოკიდებულება რელიგიასთან და ასევე ის, თუ როგორი გავლენა აქვს საბჭოთა კინემატოგრაფს საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდგომი ეპოქის ახალგაზრდებზე. იდეა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სტუდენტების უმრავლესობას, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური პრობლემებისა და მედიის მდგომარეობის გამო, ასევე რუსული ენის უცოდინრობის მიზეზით, ხელი არ მიუწვდებოდა საბჭოთა კინოპროდუქციაზე. მათ ნანახი არ ჰქონდათ საბჭოური კინოშედეგების უდიდესი ნაწილი.

ექსპერიმენტის ჩატარებისათვის მოსახერხებელი კიდევ ერთი გარემოება იყო ის, რომ მედიის სასწავლებელში კინოს ისტორია იკითხებოდა, როგორც სასწავლო დისციპლინა და მის ფარგლებში სტუდენტები პირველად ეცნობოდნენ ამ პროდუქციას. ჩართული დაკვირვების მიზანი იყო გაგვერკვია, როგორი გავლენა აქვს ახალგაზრდა მაყურებელზე საბჭოურ კინოპროდუქციას, რომელიც ეკლესიის მსახურის კომედიური პერსონაჟის სპეციფიკური ტიპაჟის დამკვიდრებით ხასიათდება.

ცხადია, როგორც ყველა ჩართული დაკვირვება, არც ჩემ მიერ ჩატარებული დაკვირვება არის თავისუფალი სუბიექტივიზმისაგან, ამიტომ ამ შემთხვევაში, ვისაუბრებთ მხოლოდ ტენდენციებზე და არა კონკრეტული რაოდენობრივი მონაცემების შედარების ზუსტ შედეგებზე. სუბიექტივიზმის ხარვეზების მინიმუმამდე დასაყვანად, კვლევა ვაწარმოე ოთხი აკადემიური წლის განმავლობაში, რამაც საშუალება მომცა გაზრდილიყო ექსპერიმენტის მონაწილეთა (ცდისპირების) რაოდენობა. ქსპერიმენტი და ჩართული დაკვირვება ხდებოდა შემდეგნაირად: გამოიკითხა 120 სტუდენტი საცდელ ჯგუფში და ამდენივე საკონტროლო ჯგუფში, სულ 240 სტუდენტი ოთხი წლის განმავლობაში. ჯგუფი იყო ერთგვაროვანი ასაკითა და განათლების დონით იმ ნიშნით, რომ ყველა ამ ახალგაზრდას ჩაბარებული ჰქონდა ეროვნული გამოცდები და ჟურნალისტიკის, რეჟისურის ან ოპერატორის პროფესიას სწავლობდა მედიისა და აუდიოვიზუალური ხელოვნების სასწავლებელში.

დაკვირვების (2008-20012წწ) პერიოდში ვასწავლიდი (ლ.ელიაშვილი) მედიისა და აუდიოვიზუალური ხელოვნების სასწავლებელში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელშიც ყოველწლიურად შემოდის დაახლოებით 70-დან 90-მდე ახალგაზრდა. ამ კონტინგენტიდან შეირჩა ორ ჯგუფი: იდენტური ასაკობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობით (დაახლოებით, 30-მდე სტუდენტი საცდელ და იგივე ასაკის (17-18 წლის) ამდენივე სტუდენტი საკონტროლო ჯგუფებში, სქესს არ ენიჭებოდა მნიშვნელობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესი ნაწილი გოგონები იყვნენ, ვინაიდან ძირითადი კონტინგენტი იყო ჟურნალისტიკის ფაკულტეტიდან და ვაჟები შედარებით იშვიათად აბარებდნენ ხსენებულ ფაკულტეტზე). ამ ჯგუფების შესადგენად თავდაპირველად შეირჩა A; B; და C შეხედულების ქვეჯგუფები. ვინაიდან, კვლევის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ როგორი გავლენა აქვს აუდიოვიზუალურ მედიას ადამიანის რწმენასა და მის დამოკიდებულებაზე რელიგიასა და რელიგიურ ინსტიტუტებთან, დაკვირვებისათვის გამოვიყენეთ ჩვენ ხელთ არსებული აუდიო-ვიზუალური მასალა – XX საუკუნის ქართული ფილმები, კომედიები, რომლებშიც გვხვდება საბჭოთა კომედიური კინემატოგრაფისთვის დამახასიათებელი მღვდლის ტიპური, კომიკური პერსონაჟი. ამისათვის წინასწარ გაირკვა თუ რამდენ სტუდენტს ჰქონდა A ტიპის შეხედულება. ამ ქვეჯგუფში გაერთიანდნენ ის სტუდენტები, რომლებიც გამოხატავდნენ კატეგორიულად დადებით დამოკიდებულებას ქრისტიანული

ეკლესიის მიმართ. აცხადებდნენ, რომ არიან ამ ეკლესიის მრევლი, ასევე მიიხნევდნენ, რომ მოძღვრის კურთხევის გარეშე მკრეხელობაა საჯარო დისკუსია რელიგიის შესახებ. იგივე მეთოდით შეიხა B და C შეხედულებების ქვეჯგუფების შემადგენლობები. B ტიპის შეხედულების მქონე სტუდენტები ნაკლებად კატეგორიულები იყვნენ რელიგიურ საკითხებზე მსჯელობასა და კამათში, თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად ახასიათებდნენ, მაგრამ არ ჰყავდათ მოძღვარი და დასაშვებად მიიხნევდნენ იმ საკითხებზე მსჯელობას, თუ როგორი უნდა იყოს ურთიერთობა სეკულარულ სახელმწიფოში სახელმწიფოსა და ეკლესიას, ასევე ეკლესიასა და მედიას შორის. რაც შეეხება C ტიპის შეხედულების ქვეჯგუფს, ისინი კატეგორიული ე.წ. "სეკულარისტები" ანუ ის სტუდენტები იყვნენ, რომლებიც მყარად იზიარებდნენ ე.წ. "პოზიტიური ათეიზმის" პრინციპებს. აცხადებდნენ, რომ მედიას არაფერი ესაქმება საეკლესიო დღესასწაულებსა და ეკლესიის სხვა აქტივობების გაშუქებასთან და ეს ინსტიტუტი სახელმწიფოსგან სრულიად გამიჯნული უნდა იყოს. ამავე ქვეჯგუფში შევიდნენ ის სტუდენტებიც, რომლებსაც საერთოდ არ აინტერესებდათ რელიგიის საკითხები, იყვნენ არარელიგიური ან საერთოდ არ ჰქონდა დამოკიდებულება მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მიმართ. აღწერილი დამოკიდებულებების მიხედვით ჯგუფების დაყოფა იმისათვის იყო საჭირო, რომ გარკვეულიყო მათი შეხედულება ერთი შეხედვით სრულიად უმტკივნეულო შეკითხვაზე: არის თუ არა ვალდებული საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ ეთერში სრულად გადასცეს ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელოვანი დღესასწაულები? ეს შეკითხვა ქართულ მედიაში დღესაც მეტად აქტუალურია.

A და C ქვეჯგუფებში პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: ერთ შემთხვევაში "დიახ", და მეორე შემთხვევაში ასეთივე კატეგორიული – "არა". სრულყოფილი დისკუსია შედგა მხოლოდ B ქვეჯგუფში, მაგრამ ამ ქვეჯგუფში შემავალი სტუდენტების რიცხვი არასაკმარისი იყო საიმისოდ, რომ ეს რიცხვი ორად გაყოფილიყო საცდელი და საკონტროლო ჯგუფების შესაქმნელად. ამიტომ შერეული ჯგუფები (K – საკონტროლო და E – ექსპერიმენტული ანუ საცდელი) ისეთი სისტემით შევადგინე, რომ პროცენტული შეფარდება A; B; და C შეხედულებების მქონე სტუდენტებს შორის მაქსიმალურად მიახლოებული ყოფილიყო და ორივე შერეულ ჯგუფში ეკლესიასთან განსხვავებული დამოკიდებულება თანაბარი შეფარდებით ყოფილიყო წარმოდგენილი.

ყოველ მომდევნო წელიწადს კვლავ იმავე სისტემით თავიდან ხორციელდებოდა სტუდენტების შერჩევა. დგებოდა ორივე ჯგუფი (K და E), და სასწავლო წლის დასაწყისსა და ბოლოს (წელიწადში ორჯერ), ხდებოდა იმის შემოწმება, ეკლესიის მსახურის სახის წარმოდგენისას რამდენად აქტუალური იყო კინოს პერსონაჟის გავლენა. საჭიროების შემთხვევაში, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს ემატებოდა ტელერეჟისურის ფაკულტეტის სტუდენტებიც. საცდელი ჯგუფი ნახულობდა იმ საბჭოთა ფილმებს, რომლებიც არ შედიოდა კინოს ისტორიის ფარგლებში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ფილმების ჩამონათვალში. შესაბამისად, მათ არ ნახულობდნენ საკონტროლო ჯგუფის წევრები. ექსპერიმენტისათვის საინტერესო ფილმების ნუსხაში შევიდნენ: მიხეილ კალატოზიშვილის – “ჯიმ შვანთე”, დავით რონდელის – “დაკარგული სამოთხე”, მიხეილ ჭიაურელის – “რაც გინახავს, ვეღარ ნახავ”, ბუბა ხოტივარის – “ლაზარეს მოგზაურობა”, თამაზ მეღიავას – “ლონდრე”, თენგიზ აბულაძის – “ნატკრის ხე”, გიორგი დანელიას – “არ დაიდარდო”. ამ ფილმების უმეტესობაში ეკლესიის მსახური კომედიური, უმეტესად კი ეპიზოდური პერსონაჟია, რომელის კომიკურობა მაშინაც კი თვალშისაცემია, როდესაც სულ მცირე ხნით ჩნდება ეკრანზე. იგი, როგორც წესი, მსუქანი, ღიპიანი მამაკაცია, რომელიც ეკლესიის მსახურისთვის შეუფერებლად და სამარცხვინოდ იქცევა (ხან თაღლითია, ხან მთვრალია და ლოთი, ხან მრუშობს, ხან კი ძუნწია და ბრიყვი). ზოგიერთი ფილმის პერსონაჟი ეკლესიის მსახურს ზემოთჩამოთვლილი რამდენიმე უარყოფითი თვისება ერთად ახასიათებს. ქსპერიმენტის პერიოდში (ერთი აკადემიური წლის განმავლობაში) ჩამოთვლილ ფილმებს რეგულარულად ნახულობდა მხოლოდ საცდელი ჯგუფი, საკონტროლო კი – არა. ოთხ წელიწადში დაგროვდა საცდელ ჯგუფში 17-18 წლის 120 სტუდენტი, ზუსტად ამდენივე საკონტროლო ჯგუფში. წლის განმავლობაში რამდენჯერმე, ორივე ჯგუფის წევრებს ვთავაზობდით მსჯელობებს მედიასთან დაკავშირებულ თემებზე, რომელიც აქტუალური იყო საზოგადოებაში. სასწავლო წლის ბოლოს კი ვატარებდით ცდას – “დაუსრულებელი წინადადება” და ვარკვევდით, ჰქონდა თუ არა გავლენა ფილმების სახე-ხატებს საცდელი ჯგუფის წევრების ასოციაციურ მესხიერებაზე. ასევე ვიმეორებდით წლის დასაწყისში დასმულ შეკითხვას ოდნავ განსხვავებული ფორმით – რამდენად საჭიროა მაყურებლისთვის

ტელევიზიით მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულების ტრანსლირება პირდაპირი ეთერით.

ოთხი წლის განმავლობაში იმავე სისტემით ვიშორებდით ცდასაც და ჩართულ დაკვირვებასაც. ჩვენთვის საინტერესო თემის შესახებ გამონათქვამებს კატეგორიულობის მიხედვით ვახარისხებდით სამი ტიპის მოსაზრებების (A, B და C) ქვეჯგუფებში. შესაბამისად, A, B, და C მხოლოდ მოსაზრების აღმნიშვნელია და არა იმის, თუ ვინ გამოთქვა ეს მოსაზრება. ნაშრომში შემოთავაზებულ ცხრილებშიც დათვლილია მხოლოდ გამოთქმული მოსაზრებების შეფერილობა, როგორც A, B, და C კატეგორიის და არა ადამიანები. A და C კატეგორიულობის კრიტერიუმად ვიღებდით გამონათქვამებში ისეთი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულების გამომხატველ სიტყვებს, როგორებიცაა: “რასაკვირველია”, “აუცილებლად”, “სხვაგვარად არ შეიძლება”, “არავითარ შემთხვევაში”. ნეიტრალური B ქვეჯგუფის გამონათქვამებად მივიჩნევდით ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც არ იყო შეფერილი კატეგორიული ტონით ან ემოციით და გამოიყენებოდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „შესაძლოა”, “რატომაც არა”, ”თუ საჭიროდ ჩათვლიან”, “ეს დამოკიდებულია ტელეკომპანიაზე”, “როგორც მაყურებელს უნდა”, “რეიტინგი თუ აქვს, მაშინ მისაღებია”, “თვითონ იციან”, „გააჩნია რა შემთხვევაში” და ა.შ.

იმისათვის, რომ სტუდენტებს გასჩენოდათ კამათში მონაწილეობის მოტივაცია, მათ განემარტათ, თითქოს ამ ვორკშოპის დანიშნულებაა მათი ორატორული, ანუ აზრის გადმოცემის უნარების შემოწმება, მნიშვნელობა არა აქვს, როგორი იქნება მათი შეხედულება. ნებისმიერი პასუხი მისაღებია. მნიშვნელოვანია, თუ რამდენად გასაგებად და მკაფიოდ გადმოსცემენ საკუთარ მოსაზრებას, როგორიც არ უნდა იყოს ის. პასუხისათვის საკმარისია, თუნდაც ერთჯერადად მონაწილეობა კამათში. თუმცა, სასურველია მონაწილეობა ორჯერ და მეტჯერ, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ ყველა სტუდენტს მისცემოდა აზრის გამოთქმის საშუალება. კამათის განმავლობაში მოდერატორი დელიკატურად ცდილობდა შედარებით მორიდებული სტუდენტების წახალისებას, რათა აქტიურებს ძალიან არ დაეჩრდილათ ისინი. როგორც დაკვირვებამ გვაჩვენა, კამათის მსვლელობისას სტუდენტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, თუ როგორ პოზიციას გამოთქვამდა ჯგუფის არაფორმალური ლიდერი, რომელსაც ჯგუფი აღიარებდა, როგორც

ჭკვიანს და განათლებულს, ან გამოარჩევედა რაიმე სხვა ნიშნით, რაც ადვილი შესამჩნევი იყო მათი კომენტარებით და სხვა არავერბალური მოქმედებებით. ეს ხარვეზიც მინიმუმამდე იყო დაყვანილი ახალი ცდისპირების შემოყვანით ოთხი წლის განმავლობაში.

ჯგუფების წევრები რეგულარულად ნახულობდნენ ფილმებს შემდეგი ნუსხიდან:

მიხეილ კალატოზიშვილის (1930წ.) “ჯიმ შვანთე” (“მარილი სვანეთს”). ამ ფილმში მღვდელი ჯერ არ არის კომიკური პერსონაჟი, სამაგიეროდ, ნაჩვენებია მღვდელი და ეკლესია ადგილობრივ ავტორიტეტებთან ერთად როგორ ჩაგრავს გაჭირვებულ მთის ხალხს.

“ლაზარეს მოგზაურობა” (რეჟისორი ბუბა ხოტივარი გადაღებულია 1973 წ.), რომელშიც ფარისეველი და მატყუარა მღვდელი ობოლ ბიჭს ჩაგრავს. იგი ღიპიანი, ხარბი, მსუნავი და ბოროტია. მის სიმსუქნეს, როგორც ნეგატიურ თვისებას, ფილმში ხაზი ესმება რამდენჯერმე გამეორებული ფრაზით: “მამაო ენუქ, ქრისტე გამხდარი იყო, შენ რამ გაგასუქა?” – საჯაროდ უყვირის მას დროდადრო სხვა კომიკური პერსონაჟი, ანარქისტი ანანია, რომელსაც ყოველი ამგვარი გამოსვლის გამო, სასტიკად ცემს მოძალადე, კუნთმაგარი ღიაკვანი.

დავით რონდელის 1937 წელს გადაღებული ფილმი – “დაკარგული სამოთხე”, სადაც მღვდელი შარლატანია, რომელიც ცრუპენტელა აზნაურთან, მიქელა კალმახიძესთან ერთად ატყუებს მრევლს და ფულს სცანცლავს.

ასევე ღიპიანი და ბრიყვია კომედიური ფილმის – “ლონდრე” (რეჟისორი თამაზ მელიავა 1966წ.) პერსონაჟი მღვდელი, რომელსაც ლონდრე იოლად გააცურებს.

რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის ფილმში – “რაც გინახავს ვედარ ნახავ” (1965 წ.), გამასხარავებული არიან თავადები და მათი ცხოვრების წესი. ამ კომედიაშიც ტრადიციულად კომიკურია ეპიზოდური პერსონაჟი – მღვდელი, რომელსაც გულშემოყრილი კნეინა ხორეშანის (ვერიკო ანჯაფარიძის გმირი) საზიარებლად მოიყვანენ. იგი ისეთი მთვრალია, რომ კნეინა ხორეშანისათვის განკუთვნილ ზიარების ღვინოს თვითონ დალევს და საწოლზეც წამოიქცევა.

გიორგი დანელიას ფილმში – „არ დაიდარლო!“ (1968წ.) მღვდელი ეპიზოდური პერსონაჟია, რომელიც ყველა კადრში მთვრალია და სხვა პერსონაჟებს დროდადრო შერისხვით ემუქრება. ფილმის ფინალში კი სუფრასთან მჯდომი, ნასვამი, საიქიო ცხოვრების არსებობასაც უარყოფს.

თენგიზ აბულაძის დრამაში – “ნატერის ხე” (1976წ.) მამა ოხროხინე მრუში და მატყუარაა, რომელიც სოფლის მოძალადე საზოგადოების მხარეს აღმოჩნდება, როდესაც ულამაზეს, რომანტიკულ მარიტას “სოფლის სამართლის” სახელით დაუნდობლად გაუსწორდებიან.

რაც შეეხება ჩართულ დაკვირვებას, იგივე სტუდენტებს, კონკრეტულ ჟურნალისტურ რეპორტაჟებთან დაკავშირებით, ჰქონდათ საშუალება მონაწილეობა მიეღოთ სხვა დისკუსიებშიც. ასეთი იყო, მაგალითად, მათი ინიციატივით შემოთავაზებული საუბარი რამდენად შეესაბამება სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებსა და გამოსატვის თავისუფლების დაცვას ერთი მხრივ ორგანიზაცია “მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის” მიერ თბილისში ერეკლეს მოედანზე “ჰელოუინის” აღსანიშნავი აქციის მონაწილე ახალგაზრდების დარბევა (აკრძალული "ჰელოუინი" http://www.tolerantoba.ge/tolerantoba_jurnali/27.pdf 2008 წ. 31 ოქტომბერი), მეორე მხრივ, ძალოვანი სტუქტურების მიერ მამა ბასილ მკალავიშვილის დაპატიმრების დროს თბილისის გლდანის ეკლესიის დარბევა (განკვეთილი მღვდელი დაკავებულია <http://www.civil.ge/geo/article.php?id=6217> 2004წ. 12 მარტი) და ა. შ. ორივე ჯგუფის ყველა სტუდენტი მონაწილეობდა მსჯელობაში და აზრიც მომხდარი მოვლენების შესახებ, დაახლოებით თანაბარი პროპორციით გაიყო, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ნანახ ფილმებს საცდელი ჯგუფის მონაწილეთა რწმენის თავისუფლებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. სამაგიეროდ, მათ ცნობიერებაში მღვდლის ხატი, რეალური პერსონის ნაცვლად, ფილმის პერსონაჟმა დაიკავა სასწავლო წლის ბოლოს. სწორედ ასეთი კომიკური პერსონაჟის სახელი გაახსენდა საცდელი ჯგუფის წევრ 12 სტუდენტს (საერთო რაოდენობა 120) მღვდლის წარმოდგენისას. რა შედეგს გამოიღებს ამგვარი ჩანაცვლება მომავალში, ჯერ კვლევის მიღმა დაგვრჩა. თუმცა, ამ კინოფილმებზე გაზრდილი მათი მშობლების თაობის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, რომელთა დიდი ნაწილი თავისუფალი არჩევანის გაკეთების-თანავე, ეკლესიის მრევლი გახდა, იმის მიუხედავად, რომ მთელი ცხოვრება მხოლოდ ამგვარ ფილმებს უყურებდა და რეალური ეკლესიის მსახურის ცნობის საშუალება პრაქტიკულად არ ჰქონდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ: აუდიო-ვიზუალური მედიის საბჭოური სოცრეალიზმის მიერ შეთავაზებული ეკლესიის მსახურის კომიკური პერსონაჟები მხოლოდ იმ პერიოდში არის მათ ცნობიერებაში აქტუალური, ვიდრე რეალურად არ აქვთ შეხება ეკლესიასთან,

ან არ უსაუბრიათ ამგვარ თემებზე მათთან, ვისაც ეკლესიასთან შეხება და მისი სასარგებლო არგუმენტები აქვს. ეს ვარაუდი ხსენებული 12 სტუდენტის შემთხვევაში გადავამოწმეთ ერთი წლის შემდეგ, როდესაც ისინი უკვე მეორეკურსელები გახდნენ. 12-დან 7-მა აღარ დაასახელა კინოს პერსონაჟი, 5-მა კი დაასახელა. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში, მათი განწყობის ტიპს ჰქონდა მნიშვნელობა და გარკვეული დროის შემდგომ იმ 5 სტუდენტსაც გაუქრებოდა ფილმებით შექმნილი განწყობა.

ფილმების ნახვის შემდეგ, სასწავლო წლის დასასრულისთვის, ორივე ჯგუფს უტარდებოდა ასოციაციური ტესტი (“დაასრულე წინადადება”) და მიუხედავად იმისა, რომ სიტყვათა წყობას “ეკლესიის მსახურს ჰქვია ...” საცდელი ჯგუფის (ფილმები უკვე ნანახი ჰქონდათ) საშუალოდ, 20% აგრძელებდა სიტყვებით ”მამაო ენუქ” ან “მამა ოხროხინე”. ეს ასოციაცია არ ასახულა ვორკშოპებზე მსჯელობისას. ტენდენცია კი გამოიკვეთა შემდგენაირად: როგორც საცდელ, ასევე საკონტროლო ჯგუფებში, იმატა ზოგადად დისკუსიაში მონაწილეთა აქტივობამ, ამას გარდა, შეიმჩნეოდა პროზიციის შერბილება გამოსატულად რადიკალურიდან, შედარებით ზომიერისაკენ – ნაკლებად კატეგორიული, აგრესიულ ინტონაციას და ემოციურ შეფერილობას მოკლებული პროზიციისკენ, რაც იმითაც შეიძლება ახსნათ, რომ სტუდენტებმა ერთმანეთი უკეთ გაიცნეს და ცდილობდნენ უფრო ლოიალურები ყოფილიყვნენ და ანგარიში გაეწიათ განსხვავებული მოსაზრებებისათვის. აღნიშნული ტენდენცია საცდელ ჯგუფში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, ოდნავ ჭარბობდა.

საზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩატარებული ჩართული დაკვირვების ექსპერიმენტის გავლენა, საცდელი ჯგუფის წევრების თავისუფალ ნებაზე უმნიშვნელო და დროებითია. შესაბამისად, არ დაგვირღვევია ადამიანების ქცევაზე ჩართული დაკვირვების ეთიკის ნორმა. ამას გარდა, მიმაჩნია, რომ საბჭოთა კინოს ხსენებული შედეგების ნახვა აუცილებლად უნდა შედიოდეს მედიის ახალგაზრდა მუშაკების ინტერესში, ვინაიდან, ჩემ მიერ გამოკვეთილი რელიგიის მსახურის პროგრეტის გარეშე, ეს ფილმები ძალზე საინტერესოა ახალგაზრდა თაობისათვის. სასარგებლოც არის, რომ იცოდნენ, თუ რა შეუქმნია გამორჩეულად ღირებული იმ მასკულტურას, რომლის მემკვიდრენი გარკვეულწილად, თვითონაც არიან. ვორკშოპზე სპეციალურ ცხრილში ვინიშნავდი მოსაზრებების ტიპებს და რაოდენობებს ჩემთვის საინტერესო

თემაზე: საჭიროა, თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც თითოეული გადასახადის გადამხდელის ჯიბიდან ფინანსდება, საქართველოს მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულებს პირდაპირ ეთერში სრულად გადასცემდეს. ამ საკითხზე კვლავ ვაწყობდით მსჯელობას. ჩანიშვნების დათვლის შედეგად შევადგინე შემდეგი სახის ცხრილი, სადაც ოთხი წლის შედეგებია დაჯამებით წარმოდგენილი (იხ. ცხრილი -შემაჯამებელი).

ცხრილი (შემაჯამებელი)

	E						K					
	სექტემბერი			ივნისი			სექტემბერი			ივნისი		
	A	B	C	A	B	C	A	B	C	A	B	C
I	19	20	19	24	29	20	20	21	20	24	24	20
II	26	24	29	28	28	23	23	25	23	26	29	24
III	29	27	25	26	32	27	28	28	26	22	28	21
IV	30	28	26	24	30	24	27	30	28	27	32	22
(I-IV)	104	99	89	102	119	94	98	104	97	109	113	87
	290			315			299			309		

ცხრილში მოცემულია ნედლი ციფრები და მათი ერთმანეთთან შედარებისათვის საჭიროა მონაცემები გადავიყვანოთ პროცენტულ მაჩვენებლებში.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გამოიკვეთა, რომ საზოგადოების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე სამომავლო პერსპექტივაზე გათვლილი სტრატეგიით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არა კონკრეტული მიმართულების პროპაგანდისტული საინფორმაციო კამპანიები, არამედ ისეთი შემეცნებითი და გასართობი გადაცემები, რომლებიც კულტურულ ღირებულებათა ჩამოყალიბებასა და ტრანსფორმაციას შეეხება. სწორედ აქ იკვეთება დღეს ძველი და ახალი სამყაროს ღირებულებათა კონფლიქტის ხაზი და შესაბამისად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა კონკრეტული ძალაუფლების ინტერესის, არამედ საერთო საკაცობრიო ინტერესების კულტურული სტრატეგიისათვის მედიაში.

ამ ფენომენის კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ საბჭოთა სოცრეალისტური კონემატოგრაფის პერიოდში შექმნილი კომედიები პოსტსაბჭოთა სამყაროს ახალგაზრდებში გამოკვეთილად ახალისებს ზოგადად კრიტიკულ აზროვნებას და ლაღ დამოკიდებულებას დოგმატების მიმართ და არა კონკრეტულად ეკლესიის მსახურის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ როდესაც არსებობს რეალური ალტერნატიული გარემო ამა თუ იმ ინსტიტუტის შესახებ საკუთარი შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად, მედიით მოწოდებული არ აღიქმება, როგორც ერთადერთი რეალობა. ადამიანები არ ექცევიან შეფარულად თავსმოხვეული მსოფლმხედველობრივი გავლენების ქვეშ. მით უმეტეს, რომ ამგვარი გავლენის მოხდენა საბჭოთა ცენზურის მიზანი იყო და არა ხელოვანის გულწრფელი სურვილი.

ჟურნალისტიკის პედაგოგებისათვის, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს ნაშრომში აღწერილი ე.წ. თავისუფალი დისკუსიის ჯგუფებთან მუშაობის გამოცდილება იმ ფორმით, რომელიც ექსპერიმენტშია გამოყენებული. აღწერილი მეთოდით შესაძლებელია გავარკვიოთ, რამდენად ფართოა სტუდენტის თვალსაწიერი და მიმდებლობა, პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნის შექენასთან ერთად როგორ გაიზარდა ჯგუფის ტოლერანტულობის მაჩვენებელი, ასევე სასწავლო წლის განმავლობაში ჯგუფის წევრი

სტუდენტების უნარები იმუშაონ გუნდურად და ჟურნალისტური ქცევის სტანდარტის შესაბამისად.

სტუდენტები შეძლებენ გაიზიარონ და ჟურნალისტური ეთიკის გათვალისწინებით არგუმენტირებულად შეაფასონ სხვისი აზრის სიზუსტე დამატებითი შეკითხვებით ისე, რომ არ შევიდნენ მსოფლმხედველობრივ კამათში რესპოდენტთან და მხოლოდ დამატებითი შეკითხვებით დააზუსტონ რესპოდენტის გამოთქმული მოსაზრება.

ნაშრომში ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნება, რომელიც, ერთი შეხედვით, ღირებულებათა წინააღმდეგობისა და კონფლიქტის მიზეზია, მეორეს მხრივ, არის მყიფე ბალანსის დაცვის საფუძველი თანამედროვე პოსტმოდერნისტულ მედიაკულტურაში. ნებისმიერი რადიკალური ზომები მედიის გაკონტროლების მიმართულებით, როგორც “კეთილშობილური” მიზნებითაც არ უნდა იყოს შენიღბული, იწვევს ამ მსოფლმხედველობრივი ბალანსის დარღვევას და საფრთხე, რომელსაც ფრიდრიხ ნიცშე აღწერდა თავის აფორიზმში – „კულტურა ეს მხოლოდ უთხელესი ვაშლის კანია გავარვარებული ქაოსის ზედაპირზე“, სრულიად რეალურია.

თანამედროვე მედიაკულტურა ბუნებრივად და თანდათან ისე ეწერება ტრადიციული კულტურის სხეულში, რომ არ იწვევს მის რღვევას და ქაოსის ზედაპირზე ამოსვლას. ამ ოპტიმისტური დასკვნის საფუძველს ის ფაქტი იძლევა, რომ ცუკერბერგის გალაქტიკაში ბუნებრივად იბადებიან ვარსკვლავები – თავისუფალი პუბლიცისტები, რომელთაც არ სჭირდებათ ინტერესთა ჯგუფების მიერ დაფინანსება იმისათვის, რომ საკუთარი იდეების გარშემო შემოიკრიბონ ადამიანები, როგორც პლანეტები. ინტერნეტ-სივრცე გახსნილია იმისათვის, რათა ნიჭმა და შემოქმედებითმა ენერგიამ მაქსიმალურად შეძლოს რეალიზება. ამიტომ ვვარაუდობ, რომ შესაძლებელია ახდეს მარშალ მაკლუენის წინასწარმეტყველება – “გლობალური სოფელში” ომი არ იქნება, ვინაიდან არის ინდივიდუალური თვითრეალიზაციის მაქსიმალური საშუალება და სივრცე იმისათვის, რომ ყველამ იპოვოს თავისი “ადგილი მზის ქვეშ”.

ბიბლიოგრაფია:

1. <https://fotki.yandex.ru/next/users/babs71/album/204089/view/898192> Антирелигиозный плакат (საბჭოთა ანტირელიგიური პლაკატი)
2. Marshall McLuhan The Medium is the Massage: An Inventory of Effects (1967)
3. http://robynbacken.com/text/nw_research.pdf Marshall McLuhan Understanding Media The extensions of man
4. Фромм Э. Бегство от свободы = Die Furcht vor der Freiheit (1941) / Перевод Г. Ф. Швейника. — Москва (Erich Fromm, *Escape from Freedom*) [http://www.e-reading.club/chapter.php/60813/8/Fromm - Begstvo ot svobody.html](http://www.e-reading.club/chapter.php/60813/8/Fromm_-_Begstvo_ot_svobody.html)
5. <http://www.bbc.com/news/world-africa-33297245>
6. ჟურნალი „ცხელ შოკოლადი“ (№47 2009 წ.) „პოლარიზაცია“ ავტ. გ. მაისურაძე <http://www.demo.ge/index.php?do=stat&id=521>
7. <http://www.britannica.com/event/Cultural-Revolution>
8. <https://www.youtube.com/watch?v=dnJrAk0LjdQ>)
9. <http://www.patriarchate.ge/?action=modeli>
10. აღმნახი 2001 №10 სახელმწიფო სამართალი (II) “სახელმწიფო და ეკლესია გუშინ, დღეს, ხვალ” (სამართლებრივი ასპექტები) ავტ.: მიხეილ სარჯველაძე, ირმა გელაშვილი
11. <http://www.grassroots.ge/doc/NanaPeradze.pdf> “რელიგია და დემოკრატია პოსტრევოლუციურ საქართველოში” ავტ.: ნანა ფერაძე 2013წ.
12. ჟურნალი „ტაბულა“ (№132 დეკემბერი 2013 წ.) <http://www.tabula.ge/ge/story/78665-kovlisshemdzle-moralisti-abezrebi>
13. <http://transparency.ge/blog/antidiskriminatsiuli-kanoni-mightsevebi-dagamotsvevebi?page=2#1>
14. <http://stuki-druki.com/Aforizmi-Polanski.php>
15. Kroeber A., Kluckhohn Cl. Culture. A Critical Review of Concept and Definition. New York, 1952.
16. Моль А. Социодинамика культуры. М., 1973. С. 35.

17. Мамардашвили М. К. «Эстетика мышления» из книги «Философские чтения». — СПб.: Азбука- классика, 2002. — 832 с.
http://yanko.lib.ru/books/philosoph/mamardashvili-estet_mushleniya_from_ph_r-8l.pdf
18. Ф. Ницше. сочинение в 2-х томах, т. 1. М.: "Мысль," , 1990, 767 - "Злая мудрость, афоризм"м 304:
- 19.Актуальные проблемы современной зарубежной политической науки. — М., 1990.
20. З. Фрейд. Введение в психоанализ: Лекции. М., "Наука", 1989
<http://www.magister.msk.ru/library/philos/freud/freud200.htm>
21. З. Фрейд. Totem and Taboo
https://books.google.ge/books?id=7P9KJuAXGHUC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summy_r&cad=0#v=onepage&q&f=false
22. Н. Б. Кириллова Медиакultura: от модерна к постмодерну
<http://www.ifap.ru/library/book380.pdf>
23. ფრედი პერლმანი ”ყოველდღიური რეპროდუქციის თეორია“
[The Reproduction of Daily Life by Fredy Perlman](http://www.spunk.org/texts/writers/perlman/sp001702/repro.html)
<http://www.spunk.org/texts/writers/perlman/sp001702/repro.html>
24. Дюркгейм Э. (Emil Diurkhaimi) МЕТОД СОЦИОЛОГИИ //Западно-европейская социология XIX-начала XX веков. - М., 1996.
- 25.http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=164
26. <https://webpace.utexas.edu/dsbay/index.html>
27. Schmandt-Besserat, How Writing Came About,1996.
28. Schmandt-Besserat, The History of Counting, 1999.
29. თამაზ გამყრელიძე “თეორიული ენათმეცნიერების კურსი” 2008წ
http://www.academia.edu/8765938/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%96_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A7%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94_%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98
30. (<https://www.youtube.com/watch?v=XXQ6jj99uSQ>) Советская антирелигиозная пропаганда. Фильм "От тьмы к свету", 1961
31. http://www.vokrug.tv/product/show/Goluboi_ogonek/
32. ჟურნალი "მნათობი, 2006 წ. №1 ოქტომბერში "მედროვეები და დრო"

33. ჟურნალი “ცხელი შოკოლადი”, 2009 წ. #2
34. <https://www.youtube.com/watch?v=zb2YvgA4LwM>
35. <https://www.youtube.com/watch?v=IL357BrwK7c>
36. <http://ick.ge/articles/22461-i.html>
37. <http://ick.ge/rubrics/humanrights/22478-i.html>
38. http://constcourt.ge/files/const_1921.pdf
39. <http://www.mag4.net/Rimbaud/poesies/Adieu.html>
40. <http://ghn.ge/com/news/view/133215>
41. https://ru.wikiquote.org/wiki/%D0%A1%D1%82%D0%B0%D0%BB%D0%B8%D0%BD_%E2%80%94%D1%8D%D1%82%D0%BE_%D0%9B%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%BD_%D1%81%D0%B5%D0%B3%D0%BE%D0%B4%D0%BD%D1%8F
42. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/8/81> “სოცრეალიზმის ეპოქის ქართული სალიტერატურო ცხოვრება ლიტერატურული კომპარატივისტიკის თვალსაზრისით” ავტ. ნანა გაფრინდაშვილი
43. http://klassikakino.blogspot.com/2011/11/blog-post_4948.html
44. Эйзенштейн С. М. Избр. произв. В 6-ти тт. — Т. 3. — М., 1964. — გვ. 584
45. <http://www.radiotavisupleba.ge/content/rezo-chkheidze/27002058.html>.
46. <http://lady.mcvane.ge/main/chrelachrula/22642--.html>
47. ЭльдарРязанов. Неподведенные итоги
48. <http://litafor.ru/aphorism/16152/>
49. www.bibliotekar.ru/encSlov/17/216.htm
50. <http://www.cosmo.ru/stars/biography/oprah-winfrey/>
51. [https://en.wikipedia.org/wiki/The_Conformist_\(film\)](https://en.wikipedia.org/wiki/The_Conformist_(film))
52. <http://www.simplypsychology.org/milgram.html>
53. <http://www.simplypsychology.org/zimbardo.html>
54. http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Kulturis_sakitxebis_gashukeba_qartul_mediashi.pdf
55. https://www.youtube.com/watch?v=OMZ8YsoSS_4
56. <https://interesi.files.wordpress.com/2011/01/dimitri-uznadze-zogadi-fsiqologia.pdf>

57. <http://www.media.ge/ge/portal/news/21424/>
58. http://www.tolerantoba.ge/tolerantoba_jurnali/27.pdf
59. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=6217>
60. <http://www.inclusivedemocracy.org/fotopoulos/english/brbooks/brtid/IDBook.pdf>
61. Громов И. А., Мацкевич И. А., Семёнов В. А. Западная социология. — СПб.: ООО «Издательство ДНК», 2003. — С. 532.
62. <https://www.youtube.com/watch?v=wvWQO27-fSc>
63. <https://www.litmir.co/br/?b=6421&p=33>
64. <http://litafor.ru/aphorism/16152/>